ქართული ფაშიზმი: ვინ დგას მის უკან?.. 4

ლუგარის ლაბორატორია და რუსეთი 5


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 17 მაისი. 2018 წ. №103 (8504), ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 50 თეთრი.


## სააკაშვილის მიერ „სამშობლოდან“ გამოყრილი ჟურნალისტების სახლში სასტუმრო „სტამბა“ გაიხსნა!

**საქართველოს** ბანკის ფინანსური მხარდაჭერით კომპანია „აჭარა ჯგუფი“ კიდევ ერთ ქართულ ბრენდს – Stamba Hotel-ს წარმოგიდგენთ. ახალი სასტუმრო კოსტავას ქუჩაზე, საბჭოთა ეპოქის გამომცემლობის შენობაში არის განთავსებული. პირველ ეტაპზე სტუმრებს შეუძლიათ ისარგებლონ 40 მაღალი სტანდარტის (52 კვ.მ) ოთახით და 2 suit-ით (79 კვ.მ). ამ ეტაპზე „სტამბაში“ დასაქმებულია 600 ადამიანი. მას შემდეგ რაც სასტუმრო სრულად ამუშავდება, ხელმისაწვდომი იქნება 150 ნომერი, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა გაიზრდება 750-მდე.

სასტუმროში განთავსებულია „კაფე სტამბა“ (Cafe Stamba), სადაც სტუმრებს შეეძლებათ, დააგემოვნონ ადგილობრივი ფერმერების აგროპროდუქტებისაგან დამზადებული ქართული და ევროპული სამზარეულო. სასტუმროს ხუთსართულიანი ატრიუმის ტიპის ბეტონის ფოიე – Jungle Lobby – არის უნიკალური მრავალწლოვანი მცენარეებით დატვირთული. ამ სივრცეს კრავს შენობის თავზე მოწყობილი საცურაო აუზი გამჭვირვალე ფსკერით. „აჭარა ჯგუფის“ არქიტექტურული გუნდის დიზაინერების მიერ განახლებული შენობა ინარჩუნებს თავის პირველად, ისტორიულ სახეს. შენარჩუნებულია სარემონტო სამუშაოების დროს აღმოჩენილი ძველი საბეჭდი დანადგარებიც.

სასტუმრო Stamba გამორჩეული ინტერიერით Design Hotels-ის წევრი გახდა.



**SOS!**

**ერთ დროს ამ შენობის პატრონ ჟურნალისტებს 2007 წლიდან ნაქირავებ ბინებში გვიწევს ხეტიალი!.. კომპენსაცია მაინც არ გვეკუთვნოდა, ხელისუფალნო?!**



## დღეს დაგეგმილ ღონისძიებებზე უსაფრთხოება დაცული იქნება!

**შინაგან** საქმეთა მინისტრის მოადგილის ნათია მეზვრიშვილის განცხადებით, 17 მაისს დაგეგმილ ღონისძიებებზე უსაფრთხოება დაცული იქნება. აქციის მონაწილეებს უწყება გუშინ შეხვდა და აქციებთან დაკავშირებით მოელაპარაკა.

**შეგახსენებთ**, რომ დღეს თბილისში ერთდროულად აღინიშნება ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის დღე და პატრიარქის ინიციატივით დაარსებული ოჯახის სიწმინდის დღე.

## გიორგი გახარიამ პარლამენტს სესიის ფორმატში მოსმენის მოთხოვნით მიმართა

**წერილობითი** მოთხოვნა საკანონმდებლო ორგანოს უკვე წარედგინა. საკითხები, რაზეც მინისტრი მოსმენას ითხოვს, შემდეგია: 2018 წელს შს სამინისტროს მიერ გაწეული სამუშაოს შედეგები, უწყებაში მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმები და 12 მაისს კლუბ „ბასიანსა“ და „გალერიში“ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები.

18 მაისის სესიაზე მინისტრის მოსმენა პარლამენტის რეგლამენტის 207-ე მუხლის შესაბამისად გაიმართება.

## გერმანია რუსეთის წინააღმდეგ კიბერარმიას ქმნის

**„გერმანიამ კიბერარმია უნდა შექმნას, რადგან ჰიბრიდული ომი რუსეთის სამხედრო დოქტრინის ნაწილია“**, – განაცხადა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ბუნდესტაგში სამხედრო ბიუჯეტის განხილვისას. მერკელი მიიჩნევს, რომ საჭიროა თავდაცვის ბიუჯეტის გაზრდა არა მარტო შეიარაღების მოდიფიცირებისთვის, არამედ საჭიროება მოითხოვს თანამედროვე აპარატურის შეძენას, რომელიც გამოწვევებს გაუმკლავდება. **„რა თქმა უნდა, ჩვენ თავდაცვისთვის მზად უნდა ვიყოთ, სხვა შანსი არ გვაქვს“**, – განაცხადა მერკელმა.

## ერეკლე მეფის განახლებული მუზეუმი თელავში

**საქართველოს** პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა თელავში ბატონის მუზეუმი გახსნა, რომლის მშენებლობაც რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა.

**„დღეს ჩვენთვის ძალიან სასიხარულო დღეა! კახეთს, კონკრეტულად კი თელავს, შეემატა ძალიან მნიშვნელოვანი ობიექტი და კულტურული სივრცე – მეფეთა სასახლის შემდეგ უკვე ბატონის ციხის მუზეუმი, რომელიც კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კომპლექსის შემადგენელი ნაწილია. მე მესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით თელაველებისთვის, ერეკლე მეორის სახელი, მისდამი პატივის მიგება და, პირველ რიგში, თელაველებს გილოცავთ ამ ძალიან მნიშვნელოვან დღეს. ვულოცავ, რა თქმა უნდა, მთელ საქართველოს! თელავის ბატონის ციხე უმნიშვნელოვანესი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და ის საშუალებას აძლევს მომავალ თაობებს მიეახლონ ისტორიას, ხელით შეეხონ მას, სათანადო პატივი მიაგონ ჩვენს უდიდეს წინაპრებს.“**



პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა მსოფლიო ბანკს, როგორც ქვეყნის განვითარების მთავარ პარტნიორს, საქართველოში არაერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აღდგენის ხელშეწყობისთვის და აღნიშნა, რომ ახალი მუზეუმი ტურისტების ერთ-ერთ მთავარ მიზიდულობის ცენტრად იქცევა.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ბატონის სასახლის კომპლექსში მუზეუმის გახსნით, ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ მიაგო პატივი ერეკლე მეფის ხსოვნას, რომლის სახელსაც საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი უკავშირდება.

# გიორგი კვირიკაშვილი: საქართველოს სრულყოფილი კონსტიტუცია აქვს

**განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საქართველოს აქვს სრულყოფილი კონსტიტუცია,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციის კონგრესზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.



მისი თქმით, საქართველოს დემოკრატიული განვითარების წინაპირობა და გარანტი საქართველოს კონსტიტუციაა, რომლის ახალმა რედაქციამაც უზრუნველყო მისი შესაბამისობა საუკეთესო ევროპულ სტანდარტებთან.

**„მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების წინაპირობა და გარანტი არის საქართველოს კონსტიტუცია, რომლის ახალმა რედაქციამაც უზრუნველყო მისი შესაბამისობა საუკეთესო ევროპულ სტანდარტებთან. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, დღეს ჩვენ გვაქვს სრულყოფილი კონსტიტუცია, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში სტაბილურობასა და პლურალიზმს, რომელიც უზრუნველყოფს დაბალანსებულ და მკაფიოდ გადანაწილებულ პასუხისმგებლობას ხელისუფლების შტოებს შორის. დღეს ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც დემოკრატიისა და ევროინტეგრაციის გზას ადგას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფა და სახელისუფლებო სტაბილურობის განმტკიცება, რისი გარანტიც სწორედ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოა.**

**ამ დარბაზში მე ვხედავ ადამიანებს, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან მოყოლებული, იდგნენ ქართული დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სისტემის სათავეში როგორც უზენაესი, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს სათავეში და მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ამ ადამიანებს მათ მიერ გაწეული ღვაწლისთვის. და ბოლოს, დარწმუნებული ვარ, ეს კონგრესი ღირებულ საფუძველს შექმნის საქართველოსა და ევროპის ქვეყნების როგორც ეროვნული, ისე რეგიონული სასამართლოების ინსტიტუციური დიალოგის განვითარებისთვის და ამით ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის სამართლებრივი სისტემის დაახლოებას ევროპულ სამართალთან. დიდი მადლობა ყურადღებისთვის, კონგრესს ვუსურვებ წარმატებას“,** — განაცხადა კვირიკაშვილმა.

# თანამშრომლობა ორი ქვეყნის საგარეო უწყებებს შორის

**საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ და ყაზახეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კაირატ აბდრახმანოვმა ხელი მოაწერეს ორი ქვეყნის საგარეო უწყებებს შორის 2018-2019 წლების თანამშრომლობის პროგრამას.**




დოკუმენტი ყაზახეთში მიხეილ ჯანელიძის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გაფორმდა. პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა სფეროში ორმხრივი ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობას და სამინისტროებს შორის თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატების გააქტიურებას.

ყაზახეთში ვიზიტის ფარგლებში მიხეილ ჯანელიძე შეხვედრებს მართავს ქვეყნის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ქვეყნის პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან, პარლამენტისა და სენატის თავმჯდომარეებთან. მინისტრი ასევე მონაწილეობას მიიღებს ასტანას ეკონომიკურ ფორუმში.

# 21-ე საუკუნეში კვლავ უხეშად ირღვევა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა

**„გვწამს, რომ სახელმწიფო საზღვრების ძალისმიერი გზით შეცვლის მცდელობა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურას, არამედ მნიშვნელოვნად აფერხებს პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის შესაძლებლობებს შავი ზღვის რეგიონში“,** — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის (PABSEC) 25-ე წლისთავისადმი მიძღვნილ პარლამენტების თავმჯდომარეების სამიტზე განაცხადა.

**„ჩვენ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე ვდგავართ შავი ზღვის რეგიონში: ამ ორგანიზაციის დამფუძნებელი წევრი აგრძელებს გაეროს ქარტიის ძირითადი პრინციპების აშკარა დარღვევას და თავად ამ ორგანიზაციის არსი მიზნად ისახავს „შავი ზღვის რეგიონის მშვიდობის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის რეგიონად გარდაქმნას“, როგორც ეს გაცხადებულია ჩვენი ორგანიზაციის ქარტიაში. ამ თვალსაზრისით, ჩვენ უნდა ვისწრაფვოდეთ ვიპოვოთ მშვიდობიანი გზა გაეროს ქარტიისა და ჰელსინკის დეკლარაციის პრინციპების საფუძველზე, რათა გადავჭრათ არსებული კონფლიქტები შავი ზღვის რეგიონის სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

# „ჩვენი მისწრაფება და მზადყოფნა, გავხდეთ ნატოს წევრი, ურყევი და მტკიცეა“

**ამ სიტყვებით დაიწყო თავისი გამოსვლა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა „სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების მეხუთე ფორუმზე“.**

სასტუმრო „Holiday Inn“-ში გამართულ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას ლევან იზორიამ ყურადღება არსებული გამოწვევების ფონზე თავდაცვის უწყებაში მიმდინარე და განხორციელებულ რეფორმებზე გაამახვილა, რის შედეგადაც თავდაცვის უწყება ნატოს სტანდარტებს რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულებით აკმაყოფილებს. მათ შორის საუბარია ბიუჯეტის სწორად და დაბალანსებულად გადანაწილებაზე, ბიუჯეტში შეიარაღების შესყიდვის წილის 20,9 %-მდე გაზრდის და თავდაცვის ბიუჯეტის განსაზღვრა მშპ-ის 2%-იან ნიშნულზე.

**სიტყვით გამოსვლაში თავდაცვის მინისტრმა აშშ-სთან სტრატეგიული თანამშრომლობის საკითხებს განსაკუთრებული ადგილი დაუთმო და თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) შესახებ ისაუბრა. თავდაცვის მინისტრის განცხადებით თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა 18 მაისს ოფიციალურად გაიხსნება, რაც კიდევ უფრო აამაღლებს ქვეყნის თავდაცვით შესაძლებლობებს.**

**თავდაცვის მინისტრმა მოხსენებაში შეკავების პოლიტიკასა და ამერიკული ანტისატანკო სისტემების მნიშვნელობაზე ისაუბრა. იზორიას განცხადებით თავდაცვითი შეიარაღების გადმოცემა კიდევ ერთი ნათელი გამოხატულებაა ქართულ-ამერიკული სტრატეგიული თანამშრომლობისა.**

# დაზარალებულ 800 ოჯახს საცხოვრებელი ბინები გადაეცემათ

დედაქალაქის მერის კახა კალაძის თქმით, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ 800 ოჯახს საცხოვრებელი ფართები გადაეცემათ. მისივე თქმით, დაზარალებულია 3000-ზე მეტი ოჯახი, თუმცა, პირველ ეტაპზე მხოლოდ 800-ის დაკმაყოფილება მოხდება.

**„მინდა, შევეხო ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც დედაქალაქში მცხოვრებ 3000-ზე მეტი ოჯახისთვის დღემდე გადაუჭრელია. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ეს ოჯახები წარმოადგენენ ბინათმშენებლობის კოოპერატივებით დაზარალებულებს, რომლებმაც თავის დროზე სახელმწიფოს გადაუხადეს ბინათმშენებლობის ღირებულება, თუმცა, სახელმწიფომ ვერ შეძლო მშენებლობა და ეს ვალი სახელმწიფოს აღიარებული აქვს. 20-25 წელზე მეტი გავიდა და ისინი დღემდე ელოდებიან საკუთარი საცხოვრებელი ფართების მიღებას. ადამიანები დაბერდნენ ლოდინში თუ როდის მიიღებენ ბინებს. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს. სამწუხარო გარემოება გახლავთ ის, რომ მიწის ნაკვეთების დიდი ნაწილი, რომლებზეც ხსენებული ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა უნდა განეხორციელებინა სახელმწიფოს, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში პრივატიზებული იქნა სხვადასხვა პირებზე... თუმცა, ვიმეორებ, რომ ჩვენ ვიწყებთ ამ პრობლემის მოგვარებას“,** — დასძინა კალაძემ.



# დამატებით 30 მილიონი ლარი თბილისს!

**თბილისის მერიას დედაქალაქში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 30 მილიონი ლარი გამოეყოფა,** — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან გუშინ გამართულ სამუშაო შეხვედრაზე გახდა ცნობილი, რომელშიც თბილისის მერი კახა კალაძე და ფინანსთა მინისტრი მამუკა ბახტაძე მონაწილეობდნენ.

თბილისის მერმა პრემიერ-მინისტრსა და მთავრობას აღნიშნული გადაწყვეტილებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ გამოყოფილი დამატებითი ფინანსური რესურსი დედაქალაქში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე დაიხარჯება. დამატებით გამოყოფილი 30 მილიონი ლარი თბილისის მერიას საშუალებას მისცემს, მიმდინარე წელსვე განახორციელოს 2019-2020 წლებისთვის დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები. ეს კი, დედაქალაქის მუნიციპალიტეტს მომდევნო ორი წლის ბიუჯეტში გამოუთავისუფლებს ფინანსურ რესურსს, რომელიც სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე დაიხარჯება.

ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და ქვეყნის ინფრასტრუქტურული მზაობა ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი ხდება. ამ მიზნით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა იგეგმება. მათ შორის, ერთი თვის ვადაში უნდა დასრულდეს ქვეყნის მასშტაბით არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის აღწერა და არსებული საჭიროებების შესწავლა, რის შემდეგაც სამოქმედო გეგმა მომზადდება.

# სამარშრუტო ტაქსებში კონდიცირების პრობლემა მოგვარდება

თბილისის მერი კახა კალაძე თბილისის მერის მოადგილემ მაია ბითაძეს და სატრანსპორტო სამსახურის ხელმძღვანელს მამუკა მუმლაძეს ტრანსპორტში კონდიცირებასთან დაკავშირებით სამარშრუტო ტაქსების მფლობელ კომპანიასთან მოლაპარაკებები დაავალა.

**„ზაფხულის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით, მინდა, დავავალო მერის მოადგილეს მაია ბითაძეს და, ასევე სატრანსპორტო სამსახურის ხელმძღვანელს, რომ დაიწყოთ მოლაპარაკებები ე.წ ყვითელი მარშრუტკების კომპანიის ხელმძღვანელობასთან, რომ ზაფხულში კონდიცირების პრობლემა იყოს მოგვარებული და მერს და მერიას არ დასჭირდეს განმარტებების გაკეთება და მითითებების მიცემა, რომ ადამიანები იყვნენ კომფორტულ გარემოში და კომფორტულად შეეძლოთ მგზავრობა,** — განაცხადა კახა კალაძემ.

# ბინების დაკანონება მომავალშიც გაგრძელდება

**სამგორის ქუჩაზე მცხოვრებ 18 ოჯახს საცხოვრებელი ფართები სიმბოლურ ფასად გადაეცემა,** — ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

**„ჩემი საარჩევნო დაპირება იყო, რომ ადამიანებს ფართების დაკანონების საშუალება მიეცემოდათ, სადაც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ. ჩვენ ამ პროექტის განხორციელება დავიწყეთ. დღეს განვიხილავთ სამგორის ქუჩის №16-ში 18 ოჯახისთვის საცხოვრებლების სიმბოლურ ფასად — ერთ ლარად გადაცემის საკითხს. აღნიშნული პროცესი გრძელდება. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ადამიანია ამ მდგომარეობაში და, რა თქმა უნდა, ყველას დავეხმარებით“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

# ქართული პოლიტიკური სივრცე ხალხის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველია!



**„რაც ვიხილეთ, სირცხვილის დღესასწაული იყო: როგორ ექცეოდნენ ახალგაზრდა გოგონებს, ათრევდნენ ასფალტზე, იატაკზე“,** — ასე აფასებს გასული შაბათ-კვირის მოვლენებს ანალიტიკოსი **სოსო ცისკარიშვილი**. მისივე აზრით, განვითარებულმა პროცესებმა ცალსახად აჩვენა ორი რამ: **პირველი** — ახალგაზრდებში არსებობს საპროტესტო მუხტი, ისინი პოლიტიკოსებს არ ენდობიან და პროცესებს თავად მართავენ; **მეორე** — „ქართული პოლიტიკური სივრცე ხალხის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველია“.

**„ნარკომანიის პრობლემა არახალია და უამრავი დრო იყო იმისათვის, რომ არა მხოლოდ გაეგო ხელისუფლებას, ვინ ითბობს ხელს ჩვენი ახალგაზრდების სიცოცხლის ფასად, არამედ მათი სახელები და გვარები უკვე მთელს საზოგადოებასაც სცოდნოდა. ასეთ შემთხვევაში თავიდან ავირიდებდით იმ დავიდარაბას, რომელშიც მოვხვდით და რომელშიც, უპირველეს ყოვლისა, ქართულმა პოლიციამ თითქმის დაკარგა სახე“** — განუცხადა „აქცენტს“ სოსო ცისკარიშვილმა.



**„გამსაღებლებს ბევრად უფრო ცივილიზებულად მოუხერხეს დაკავება ჩვენმა სამართალდამცველებმა, ვიდრე ახალგაზრდებს მოექცნენ. თანაც 8 პირი უკვე დაკავებული ჰყავდათ და ამის შემდეგ შევარდნენ კლუბში ავტომატიანები. ახალგაზრდებს რა უნდა ეფიქრათ?! — დარჩნენ გაოგნებულები. რაც ამასთან დაკავშირებით ტელესივრცეში ვიხილეთ, სირცხვილის დღესასწაული იყო: როგორ ექცეოდნენ ახალგაზრდა გოგონებს, ათრევდნენ ასფალტზე, იატაკზე“...**

ცისკარიშვილს ეჭვი ეპარება, ეს ამბავი შსს-ს წამოწყება ყოფილიყო და მსგავსი დავალება პოლიციას შს მინისტრისგან მიეღო: **„არსებობს კიდევ ერთი უწყება, რომელიც არ გამიკვირდება, საშინაო საქმეებს მართავდეს: ჩვენი სუს-ი, როგორც ყოველთვის, გასუსულია და რა როლი აქვს მას ამ დავიდარაბაში, ცხადია, არავინ გვეტყვის. მაგრამ საინტერესოა, რაიმე სასიხარულო ქმედებად ხომ არ წარმოუდგენია სუს-ს ის, რასაც ვაკვირდებოდით? 1989 წლის 9 აპრილს ქართული პოლიციის არნახულმა ქმედებამ საზოგადოების დიდი ნაწილი რუსული ტყვიებისგან დაიცვა. ორი დღისწინანდელ შემთხვევაში ნაჩვენები არაპროფესიონალიზმის გამო კი ჩვენ შესაძლოა, პოლიციის მიმართ ნდობა დაგვეკარგა. ამ დღეებში ჩვენს ცნობიერებაში ყველა მტკივნეულმა წერტილმა დაიწყო ზრდა. შეიძლება, მალამოდ ჩავთვალოთ შს მინისტრის ნაბიჯი, რომელმაც თავი შეყო ბუხარში. ამით მან, რასაკვირველია, გარკვეული პატივისცემა დაიბრუნა. თუმცა მიუხედავად იმისა, რასაც კვირა ღამეს შს მინისტრი ბრძანებდა, უკვე ორშაბათს პარლამენტის თავმჯდომარემ ისევ ჯიუტად გაიმეორა, თურმე, როგორი „ზომიერი“ იყო კლუბებში პოლიციის ქმედებები“...**

რაც შეეხება კონტრაქციას, მისი აზრით, მას შემდეგ, რაც ახალგაზრდებმა აქციაზე პუტინისა და პუტინის რუსეთის საწინააღმდეგო ლოზუნგები გამოფინეს, ხელისუფლება დაფრთხა და მათ შესაშინებლად „მოხდა მამრების დემონსტრირება“: **„ამას კონტრაქციას ვერ ვუწოდებ. ასეთი რაოდენობის მამრი, ყველა გაავებული, მზადმყოფი ადამიანის დაგლეჯისა... და ვინმე იტყვის, რომ ეს „არასამთავრობო ორგანიზაციაა“?! ამისთანებს ზრდიან, აცმევენ, აჭმევენ და საჭიროების დროს მეტი სიავისთვის აშიმშილებენ კიდეც. ეს მხოლოდ ქართული თემა არაა. სადაც დემოკრატიის დეფიციტია, მსგავსი რამ ხდება. ამ ორი აქციის შედარებისას მახსენდება დაუვიწყარი ინდოელი მოაზროვნის გამონათქვამი: „თუ გინდათ, რომ ერმა გამოიღვიძოს, ჯერ ქალები უნდა გამოაღვიძოთ“. ქალები ამ აქციაზე არ იდგნენ, პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე კი ისინი მამაკაცებს სჭარბობდნენ! ერი იღვიძებს“.**

ანალიტიკოსი იმ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას, რომ „არცერთ პოლიტიკურ სუბიექტს არ მიეცა შესაძლებლობა, დრამა, რომელიც ქართული საზოგადოების დაკვეთას წარმოადგენდა, საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის გამოეყენებინა“: **„პოლიტიკოსებს ჰგონიათ, რომ, თუ პოლიტიკა არაა აქციის დამკვეთი, იქ არაფერი ხდება, ყველა უგონო და უმაქნისია. აქ კი სრულიად მკაფიოდ წარმოჩინდა, რომ ქართული საზოგადოება არცერთ ცალკე აღებულ პოლიტიკურ ძალას არ დაისვამს თავზე, თუ ისინი მხოლოდ პოლიტიკური სივრცის დაპყრობით იქნებიან დაკავებულები და დაავიწყდებათ საკუთარი ვალდებულებები. ახალგაზდებმა ორგანიზებულობა აჩვენეს. ჩვენ ვხედავდით გულწრფელად აღშფოთებულ ახალგაზრდებს. ისინი გვახსენებდნენ, რომ თავად ებრძვიან შხამის გამსაღებლებს — შხამისა, რომელიც თავისუფლად შემოდის ჩვენს უპატრონო სამშობლოში“.**

**„აქცენტი“**

◎ **აქტუალური ინტერვიუ**

# ნარკომომხმარებლებისადმი სადამსჯელო მიდგომამ შედეგი ვერ გამოიღო

**თუკი ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაცია მოხმარებას წაახალისებს, ამ შემთხვევაში რეფორმას შს სამინისტრო მხარს არ დაუჭერეს. გიორგი გახარიას უწყება ისეთი ნარკოპოლიტიკის გატარებას ითხოვს, რომელიც არ წაახალისებს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას. შს სამინისტრომ საკუთარი მოსაზრებები წარადგინა უწყებათაშორის კომისიაში, რომელიც იუსტიციის სამინისტროში არის შექმნილი.**

**როგორც უწყებაში ამბობენ, შსს-ს მიერ წარდგენილი პროექტი მოხმარებასთან დაკავშირებით საკმაოდ ჰუმანურ მიდგომებს ითვალისწინებს. for.ge-სთან საუბრისას ნარკოლოგი დავით ოთიაშვილი აცხადებს, რომ მომხმარებელთან და არა რეალიზატორთან დაკავშირებით ჰუმანურ მიდგომებს ითვალისწინებს ის კანონპროექტი, რომელიც თითქმის ერთი წელია, პარლამენტშია ინიცირებული.**



**დღეს დავით ოთიაშვილი გვესაუბრება.**

**— მმართველი გუნდი მხარს არ უჭერს ნარკოტიკის მოხმარების ლეგალიზებას. თუმცა, ფაქტია ისიც, რომ მკაცრმა ნარკოპოლიტიკამ შედეგი არ მისცა სახელმწიფოს. სად არის გამოსავალი, რომ კანონი მორგებული იყოს როგორც მომხმარებელზე, ასევე სახელმწიფოზე?**

— ჩემთვის გაუგებარია, რატომ ლაპარაკობენ ლეგალიზაციაზე იმ კანონპროექტთან მიმართებაში, რომელიც პარლამენტშია ინიცირებული. როგორც ამ კანონპროექტის ერთ-ერთი თანაავტორი, შემიძლია გითხრათ, რომ ის ახლოს არ არის რაიმე სახის ლეგალიზაციასთან. კანონპროექტში ვსაუბრობთ იმაზე, რომ დიახ, მომხმარებლების მიმართ რეპრესიულმა სადამსჯელო მიდგომამ შედეგი ვერ გამოიღო, ამიტომ ჩვენ უნდა შევცვალოთ მიდგომა იმ ადამიანების მიმართ, ვინც მოიხმარს.

**— და არ არის ჩართული უკანონო გასაღებაში?**

— გამსაღებლების მიმართ კანონი რჩება მკაცრი. ნებისმიერი ოდენობის გასაღება ძალიან მკაცრად იქნება დასჯადი, ისევე როგორც ეს ხდება დღეს. რის ცვლილებასაც კანონპროექტი სთავაზობს, არის ის ადამიანები, ვინც არ ვაჭრობენ და მოხმარების გამო პრობლემების წინაშე დგანან. ამ ადამიანებს ნაცვლად დასჯისა და ციხეში გამომწყვდევისა, შევთავაზოთ დახმარება არსებული პრობლემების გადაჭრაში. აი, ამაზეა მთელი კანონპროექტი. იმისათვის, რომ დახმარების აღმოჩენა შეძლონ სპეციალისტებმა, კანონმა და პოლიციამ უნდა მისცეს მათ შესაძლებლობა, რომ მომხმარებელი ციხეში კი არ გამოკეტოს, არამედ მოხვდეს იქ, სადაც მას დაეხმარებიან. იმისათვის, რომ ამის გაკეთება მოხერხდეს, რამდენიმე კანონში უნდა შევიდეს ცვლილება და მათ შორის ერთ-ერთი კრიტიკული ცვლილება გახლავთ ის, რომ სისხლის სამართლის კოდექსში უნდა გაუქმდეს მუხლი, რომელიც ამბობს, რომ მოხმარებისთვის ადამიანი ციხეში უნდა ჩასვა.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ არის ამდაგვარი ცვლილება დაკავშირებული ვითომ ლეგალიზაციასთან?**

— ჩემთვის გაუგებარია. ვფიქრობ, რომ ეს არის კარგად კოორდინირებული პროპაგანდის ნაწილი, როდესაც კანონპროექტის და ცვლილებების მოწინააღმდეგეები ვერ ახერხებენ, შინაარსობრივად რაიმე რაციონალური არგუმენტი წარადგინონ ამ კანონპროექტის საწინააღმდეგოდ და ამიტომ იძულებული არიან, მიმართონ კანონპროექტის ავტორთა და მხარდაჭერთა დისკრედიტაციას. აბრალებენ მათ დილერებთან კავშირს, იმას, რომ ლეგალიზაცია აქვთ ჩაფიქრებული, რომ ვახალისებთ მოხმარებას და ა.შ. ეს არის ჩვეულებრივი პროპაგანდის ნაწილი და სიმართლესთან არაფერი საერთო არ აქვს.

**— თუკი, მოხდება დეკრიმინალიზაცია, ფიქრობთ, რომ ეს იქნება პრობლემიდან გამოსავალი?**

— დარწმუნებული ვარ, რომ ეს გამოსავალი იქნება. ყველაფერი სხვა, რაც აქამდე გაკეთდა, აღმოჩნდა არაეფექტური. ამიტომ, ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვაქვს, არ ვცადოთ ის, რაც გააკეთა ცივილიზებული და განვითარებული სამყაროს უდიდესმა ნაწილმა და რა მიმართულებითაც მიიღო დადებითი და კარგი შედეგი. რატომ არ უნდა გავაკეთოთ იგივე იმ ვითარებაში, როდესაც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ნარკოვითარება გვაქვს და გამოსავალი არ ჩანს.

არ მესმის, რატომ არ უნდა გავაკეთოთ ის, რომ ადამიანი ციხის ნაცვლად გავუშვათ სპეციალისტთან, ვინც მას დაეხმარება. ვიმეორებ, გამსაღებლის მიმართ ყველა მკაცრი პოლიტიკა შენარჩუნებული იქნება. მომხმარებლის მიმართ ვცვლით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. სხვა დანარჩენი შეზღუდვები, ადმინისტარციული სანქციები, უფლებების და პროფესიონალური შეზღუდვა, ფულადი ჯარიმები და სხვა ზომები ძალაში რჩება.

იხ. 8 გვ.

## გამსაღებლის შემთხვევაში კანონმდებლობა კიდევ უფრო გამკაცრდება...

**აკაკი ზოიძემ ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციაზე ისაუბრა. დეპუტატის თქმით, უნდა დადგინდეს სად გადის ზღვარი მოხმარებასა და გასაღებას შორის. დეპუტატის განცხადებით, მმართველ გუნდში ძირითადად განსხვავებული პოზიციები ოდენობების დადგენასთან დაკავშირებით არსებობს.**

ნარკორეფორმასთან დაკავშირებით ინიცირებულ კანონპროექტში ბევრი ცვლილება შევიდა, რომლის განხილვაც იურიდიულ საკითხთა კომიტეტში მოხდება.

**„რაღაც საკითხებია, რაზეც აზრთა სხვადასხვაობაა. იმედი მაქვს, რომ კონსულტაციების შედეგად კონსენსუსს მივაღწევთ. განსხვავებული პოზიციები ძირითადად ოდენობების თემას ეხება, კერძოდ, სად გადის ზღვარი მოხმარებასა და გასაღებას შორის. ასევე დეკრიმინალიზაციის ვადებს. არ მეგონა, თუ საქართველოს რომელიმე მოქალაქეს, არა თუ ჩემს კოლეგას, ან ჟურნალისტს, რაიმე კითხვა ექნებოდა იმასთან დაკავშირებით, რა განსხვავებაა დეკრიმინალიზაციასა და ლეგალიზაციას შორის. საუბარია იმაზე, რომ ნარკოტიკი დასჯადი გახდეს მხოლოდ არასაპატიმრო სასჯელით ნარკოტიკების მოხმარების შემთხვევაში, გამსაღებლის შემთხვევაში კი, კანონმდებლობა კიდევ უფრო გამკაცრდება იმ მიმართულებით, რომ ე.წ.საფთიაქო ნარკომანია გადაიკეტოს. გამსაღებელთა მიმართ სამუდამო პატიმრობა და მაღალი საპატიმრო სასჯელები რჩება, ასევე ემატება სასჯელები აფთიაქიდან ფსიქოტროპული საშუალებების გადინებასთან დაკავშირებით. ბერკეტები ამოქმედდება, რომლებიც ამ გადინებას შეაჩერებს. ნარკომომხმარებლების მიმართ ნარკომოხმარება დასჯად ქმედებად რჩება, პირადი მოხარებისთვის და ნარკოტიკის მცირეოდენი ფლობისთვის ადმინისტრაციული სასჯელი და სამოქალაქო შეზღუდვები იქნება გათვალისწინებული“,** — განაცხადა ზოიძემ.

**გასული დღეების მოვლენები, რომლებიც, სამწუხაროდ, გამოხატულად უარყოფით კონტექსტში აქტიური განხილვის საგნად რჩება არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, არსობრივად, თითქოს დიდი არაფერი ყოფილა: ახალგაზრდობის ნაწილის სტიქიური პროტესტი პოლიციის მიერ პარასკევს საღამოს კლუბებში ძალის გადამეტების გამო, ორ დღეში კი — კონტრაქცია, რომლის მსგავსებიც საქართველოს უკვე უნახავს. თუმცა, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ისე მოხდა, რომ სწორედ ამ მოვლენებმა საბოლოოდ ახადა ფარდა იმ უამრავ პრობლემას, მანკიერებასა და საფრთხეს, რომელსაც ხელისუფლებაც და საზოგადოებაც ამ დრომდე სათანადოდ ან ვერ ამჩნევდნენ, ან არ იმჩნევდნენ. ყველაფერი ერთად ამოტივტივდა ქაფივით, სადღაც სიღრმეებიდან ზედაპირზე და ერთდროულად იქცა პირველხარისხოვან, სასწრაფოდ მისახედ საკითხად. ერთ მასალაში ყველა ამ პრობლემას უბრალოდ ვერ მოიცავ, იმდენია, ამიტომაც ყურადღებას მხოლოდ იმაზე გავამახვილებ, რაც, ჩემი აზრით, ყველაზე მეტი საფრთხის შემცველია: სხვადასხვა სოციალური ჯგუფების უკიდეგანო ურთიერთსიძულვილი, საშიშ ზღვარს მიახლოებული ურთიერთმიუღებლობა, პოლარიზება და ამით მოსარგებლე რადიკალური ჯგუფები, რომელთაც დაახლოებით ერთი თვის წინათ ოფიციალურად ფაშისტური ორგანიზაციაც შეემატათ...**

# ეროვნულობის ნიღბით

## ქართული ფაშიზმი: ვინ დგას მის უკან და ვის ეკისრება შესაძლო საფრთხეებზე პასუხისმგებლობა?!



სარგებლობენ რა ნებისმიერი და მით უფრო ისეთი „ნოყიერი“ საბაბით, როგორიც ნარკომანია და განსხვავებული სექსუალური ორიენტაციაა, ისინი მოქალაქეებს „ერის გადაგვარებით“ აშინებენ და ამის შესაჩერებლად „სამოქალაქო ომისკენ“, „მტრის მკვლელობისკენ“ და სხვა მსგავსი საშიში მოწოდებებით გამოდიან. მრავალწლიანი სიდუხჭირით გადაღლილ საზოგადოებაში, რომელშიც წიგნიერების პრობლემა (და ეს საკვანძო საკითხად მიმაჩნია) უკვე მეტისმეტად ბევრ სფეროში იგრძნობა, ეს განწყობები მარტივად პოვებს მხარდაჭერას და ცოტას თუ უჩნდება კითხვები, საიდან ჩნდებიან ეს ჯგუფები და სადამდე შეიძლება, მიიყვანოს ამ ყველაფერმა ქვეყანა.

* * *

საზოგადოების ნაწილი ამ რადიკალური ჯგუფების უკან თავად ხელისუფლებას, ან, სულ მცირე, ზოგიერთ სახელმწიფო უწყებას მოიაზრებს. ფიქრობენ, რომ სწორედ სახელისუფლებო ჯგუფები ქმნიან და შემდეგ საჭირო დროს იყენებენ მსგავს ჯგუფებს საკუთარი მიზნებისთვის. თვლიან, რომ ამის მაგალითია ბოლო დღეების მოვლენებიც: ხელისუფლება ჯერ თავადვე აანონსებს „ღამის ეკონომიკის“ განვითარებას და ამ უცნაურ სფეროს მინისტრსაც უნიშნავს, თუმცა მალევე ორ კლუბს არბევს და ხურავს, მერე, ორი დღის განმავლობაში უგულებელყოფს თბილისში, პარლამენტის შენობის წინ შეკრებილ მომიტინგეთა მოთხოვნებს, მათ შორის მეორე დღეს — უკვე შს მინისტრისა და პრემიერ-მინისტრის გადადგომის თაობაზე, ხოლო მეორე დღის ბოლოს აქციასა და იმ დროისთვის უკვე მობილიზებულ კონტრაქციას შორის სპეცრაზმს აყენებს და უკიდურესად დაძაბულ ვითარებაში — იმ განცდის ფონზე, თითქოს სამართალდამცველები რადიკალურ ჯგუფს ველარ უმკლავდებოდნენ (როგორც შემდგომ გაირკვა, სწორედ ამას ეუბნებოდა შს მინისტრი აქციის მონაწილეებს), საბოლოოდ „ქვეყნის გადამრჩენელად“ გვევლინება...

ზემოთქმული გარკვეულ კითხვებს მართლაც ბადებს.

არანაკლებ საინტერესოა კიდევ ერთი ისტორია: კონტრაქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის გიორგი გაბედავას და მის თანამოაზრე მელორ ვაჩნაძესთან ერთად, რომელიც იმ დროისთვის ჯერ კიდევ ახალმა ხელისუფლებამ ციხიდან „პოლიპატიმრის“ სტატუსით გაათავისუფლა და „ქართული ოცნების“ ყრილობაზეც გვინახავს, 2013 წელს უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია ჰქონიათ შექმნილი, მათ შორის, სექსუალური უმცირესობების უფლებების დასაცავად (!!!) ბოლო დროს კი სწორედ ისინი და ძმანი მათნი გვევლინებიან ხშირად იმ აქციებისა თუ კონტრაქციების ორგანიზატორებად, რომელთა მონაწილეები „პატრიოტიზმის“, „ქართული ტრადიციებისა და ღირებულებების“, „ერის გადარჩენის“ და „ქრისტიანობის“ დროშის ქვეშ უცხოელების, უმცირესობების და სხვათა წინააღმდეგ ბრძოლისკენ ამხედრებენ საზოგადოებას...

* * *

რაც შეეხება ფაშისტების ახალდაფუძნებულ დაჯგუფებას, მართალია, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბოლო დღეებში მათი არსებობა დაგმეს, თუმცა ფაქტია, რომ დაჯგუფება საქმიანობას წარმატებით განაგრძობს და მხარდამჭერთა მოსაზიდად შესაძლებლობების ფართო არეალსაც იყენებს.

„აქცენტი“ დაინტერესდა, რას ამბობს მსგავსი ულტრარადიკალური ორგანიზაციების საქმიანობაზე ქართული კანონმდებლობა.

**როგორც გაირკვა, კომუნისტური იდეოლოგიისა და სიმბოლიკისგან განსხვავებით, ქართულ კანონში „თავისუფლების ქარტია“ მათზე ცალსახად არაფერია ნათქვამი. ისიც უნდა ითქვას, რომ ფაშისტურ სიმბოლიკასთან მსგავსება არ ნიშნავს იდენტურობას, რომელიც შესაძლო სამართლებრივი დავისთვის მნიშვნელოვანი გარემოებაა.**

რაც შეეხება უმართავი თუ მართული რადიკალური დაჯგუფებებისა და ჯგუფების მოქმედებასთან დაკავშირებულ საფრთხეებსა და რისკებს, ამ თემაზე სპეციალისტებს ვესაუბრეთ.

უშიშროების გადამდგარ პოლკოვნიკ **ბესიკ ალადაშვილს** 2018 წლის 13 მაისის მოვლენებმა 1991 წლის სექტემბრის ასოციაცია შეუქმნა:

„საზოგადოების დაინტერესებისა და შეშფოთების თანამოზიარე ვარ მეც, რადგან 20–25 წლის წინანდელი მწარე გამოცდილება გვაქვს — სამოქალაქო დაპირისპირების და ომის. შაბათ-კვირას განვითარებული მოვლენები, სამწუხაროდ, 1991 წლის სექტემბრის მოვლენების დასაწყისს ჰგავდა“.

ალადაშვილისთვის ყველაფერი ის, რაც საზოგადოებამ იხილა, განგაშის ზარია. მისი აზრით, თუ ამ ჯგუფების მონიტორინგი აქამდე არ ხორციელდებოდა, 12-14 მაისის მოვლენები მისი დაწყების საფუძვლად უნდა იქცეს:

„ამ ჯგუფების წევრთა გარეგნული იერი, მოქმედებები, თავად მისალმებაც ძალიან მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს. თუ მათ უკან ჩვენი ძალოვანი უწყებები არ დგანან, ეს ნიშნავს, რომ ჩვენი შესაბამისი ორგანოები ეფექტურად არ მუშაობენ. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონში არის ერთი მუხლი, რომლის თანახმადაც სპეცსამსახურებს რელიგიურ, ასევე საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ოპერატიული მუშაობა, ანუ აგენტის შეგზავნა და ა.შ. ეკრძალებათ. თუმცა ვფიქრობ, რომ ეს არასდროს — არც წინა, არც ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის ყოფილა შემაფერხებელი გარემოება იგივე უმაღლეს სასწავლებლებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და ა.შ. სპეცსამსახურების მუშაობისთვის. ზემოაღნიშნული ჯგუფების მოქმედების კონტროლის კუთხით, ცხადია, კანონის ფარგლებში ასეც უნდა ხდებოდეს, რადგან ბოლო დღეებში პირადად მე და, ალბათ, არა მხოლოდ მე, ქვეყანაში ნაცისტური ფაშიზმის აჩრდილი დავინახეთ. სასწრაფოდ უნდა მოხდეს ამ ორგანიზაციების წესდების, მიზნების მონიტორინგი. თავიდანვე უნდა მოხდეს მათი მოქმედებების კანონის ფარგლებში აღკვეთა. ეს ახალგაზრდობისთვის მისაბაძ მაგალითად არ უნდა იქცეს. სამწუხაროდ, ჩვენი ახალგაზრდობა, განსაკუთრებით სტუდენტური ნაწილი რეალურად არ არის ჩაბმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში და შესაძლოა, ერთგვარმა რომანტიზმმა და არასასურველმა გატაცებებმა არასწორი გზით წაიყვანოს. მე ყოველდღიურად მაქვს შეხება ახალგაზრდებთან, სტუდენტებთან, ვხედავ, რომ ძალიან კარგი თაობა მოდის, ზღვა ენერგიით და ამ ენერგიის სახელმწიფოსთვის და თავად მათთვისაც სასარგებლო მიმართულებით მიმართვა ძალზე მნიშვნელოვანი საქმეა, — რა თქმა უნდა, რთულიც, მაგრამ ხელისუფლება გვყავს და მან ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა საზოგადოების ეს რევოლუციური და ყველაზე „ბობოქარი“ ნაწილი ცუდი მიმართულებით არ წავიდეს“.

ამასთან, სპეცსამსახურების ტრადიციიდან გამომდინარე, ანალიტიკოსი არც იმას გამორიცხავს, რომ მსგავსი ჯგუფების უკან სწორედ ისინი იდგნენ, თუმცა ასეთ შემთხვევაში რადიკალების კონტროლიდან გასვლის საფრთხეზე ამახვილებს ყურადღებას:

„ცნობილია, რომ საბჭოთა სპეცსამსახურები გერმანიაში ნაცისტურ იატაკქვეშა ჯგუფებს ქმნიდნენ. თავად საბჭოთა კავშირშიც ბევრი შემთხვევა იყო, როდესაც იქმნებოდა ვითომ პატრიოტული, ეროვნული მოძრაობები, რეალურად კი, ეს მახე იყო საზოგადოების იმ ნაწილის გამოსავლენად, რომელიც ამ მიმართულებით ფიქრობდა. ამიტომაც არ არის გამორიცხული, ასეთი ჯგუფები ქართული სპეცსამსახურების მიერ იყვნენ შექმნილები რადიკალურად მოაზროვნეთა გამოსავლენად. თუმცა ამ ჯგუფების კონტროლიდან გასვლა საკმაოდ რეალური და ხშირი მოვლენაა, მით უფრო, თუ ისინი საზოგადოებაში პოპულარობას მოიპოვებენ“.

ალადაშვილი კიდევ ერთ ალბათობას უშვებს: ამ ჯგუფების უკან სხვა სახელმწიფოების ინტერესები იდგეს:

„აი, მაშინ კი სხვა ხარისხის საფრთხე გველის, რომლის განეიტრალებაც უფრო რთული იქნება“.

თომას ჯეფერსონის კვლევის ცენტრის პრეზიდენტი, სპეცსამსახურების მკვლევარი და ამერიკანისტი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი **თორნიკე შურღულაია** რადიკალური ჯგუფების ჩამოყალიბების მოტივებზე ამახვილებს ყურადღებას:

**„ზოგადად, რადიკალური დაჯგუფებები იქმნება სოციუმისგან ეტაპობრივად გაუცხოების, განსხვავებული აზრისა და ხედვების ჩამოყალიბების შედეგად. ამ პროცესს ხელს უწყობს ქვეყანაში წლების მანძილზე არსებული არახელსაყრელი სოციალური ფონი, რომელიც დაუმკვიდრებლობის განცდას უჩენს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა ნაწილს და ისინი იწყებენ გამოსავლის სხვადასხვა იდეოლოგიებში ძებნას“.**

მისივე თქმით, მსგავსი რადიკალური ჯგუფების შექმნის შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი პოზიციის გაანალიზება და სოციუმში მათი ადაპტირება.

რაც შეეხება ვინმეს მიერ მსგავსი დაჯგუფებების პოზიციისა და ქმედებების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას, შურღულაიას აზრით, ეს ზოგადად შესაძლებელია, როგორც შიდა, ისე გარე ძალების მიერაც და ამის კონტროლი უშიშროების კომპეტენციაში შედის.

„სწორედ უშიშროების კომპეტენციაა, აკონტროლოს მათი დაფინანსების წყაროები. თუ რომელიმე ჯგუფის ქმედებებში საფრთხის ნიშნები არ იკითხება, დემოკრატიულ ქვეყანაში საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება ინტერესთა არცერთ ჯგუფს არ უნდა შეეზღუდოს. მაგრამ მართლწესრიგის დარღვევისა და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების საფრთხის შემთხვევაში მათი ქმედებები დროულად და საიმედოდ უნდა აღიკვეთოს“.

**„აქცენტი“**

**ა ნ ო ნ ს ი :**

**ვინ არიან ახალი „ფაშისტები“ და მათი ფიურერი გიორგი ჭელიძე?! ამის შესახებ „საქართველოს რესპუბლიკა“ ხვალის ნომერში მოგითხრობთ.**

# ტრამპი-კიმ ჩენ ინის შეხვედრა, შესაძლოა, გაუქმდეს!..

ფხენიანი ვაშინგტონს უმაღლეს დონეზე სამიტის გაუქმებით ემუქრება. ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ ფხენიანი არ არის დაინტერესებული ისეთ მოლაპარაკებებში, სადაც მოსთხოვენ ნახევარკუნძულის ცალმხრივად დენუკლეარიზაციას. დიპლომატის თქმით, გამოდის, რომ ბირთვული განიარაღების ვალდებულება მხოლოდ ჩრდილოეთ კორეამ უნდა აიღოს. „ჩვენ არაფერი დაგვრჩენია, მოვიფიქრებთ, მივცეთ თუ არა თანხმობა სამიტზე,“ — აცხადებს კიმ გე გვანი. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში აცხადებენ, რომ შეხვედრის გაუქმების შესახებ ინფორმაცია ფხენიანს მათთვის არ მიუწოდებია, რაც შეეხება აშშ-სა და სამხრეთ კორეის ერთობლივ სამხედრო წვრთნებს, ჩრდილოეთ კორეა ინფორმირებულია ამ წვრთნების შესახებ და ის პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს.



# ლუგარის ლაბორატორია და „შეშფოთებული“ რუსეთი



**ბიოლოგიური იარაღის დამზადება, საშიში ვირუსების გავრცელება, სახიფათო მწერების დივერსიული მიზნებით გამოყენება და ხალხის მოწამვლა — ამ ყველაფერს, უკვე წლებია, რუსეთის ხელისუფლება და მისი მედია თბილისში ამერიკელების მიერ აშენებულ ლუგარის ლაბორატორიას აბრალებს. ყველა ამ ინფორმაციას რომ დავუჯეროთ, საქართველოში ცოცხალი უკვე აღარავინ უნდა იყოს. რუსეთის ხელისუფლებასა და მის მაამებელ მედიასაშუალებებს, რომლებიც რესპონდენტებად ძირითადად კომიკურ პერსონაჟებს იყენებენ, არაფრით უნდათ იმის დაჯერება, რომ ლუგარის ლაბორატორია მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნებს ემსახურება. რუსეთის პროპაგანდა არ ცხრება მიუხედავად იმისა, რომ ლუგარის ლაბორატორიაში სხვადასხვა დროს არაერთ რუს მეცნიერსაც უმუშავია და მოსკოვმა სხვა გზებითაც კარგად იცის, რომ ამერიკელი და ქართველი სპეციალისტები ამ ცენტრში ადამიანისა და ცხოველის დაავადებათა გამომწვევი მიკროორგანიზმების აღმოჩენას, ამოცნობასა და ეპიდემიებთან ბრძოლის ეფექტიანი გზების დასახვას ემსახურებიან. რა ხდება ბიოუსაფრთხოების მე-3 დონის (BSL-3) სტანდარტებით აღჭურვილ ლუგარის ცენტრში? კონკრეტულად ვინ და რას აკეთებს იქ? რადიო „თავისუფლება“ იმ ლაბორატორიაშიც შევიდა, სადაც უშუალოდ ამერიკელები მუშაობენ.**

## რა კეთდება ამერიკელების აშენებულ ლუგარის ლაბორატორიაში?

შიშის მომგვრელია, წარმოიდგინო თავი სივრცეში, სადაც მრავალნაირი ვირუსი და ბაქტერია გეგულება — მიკროორგანიზმები, რომლებიც, სხვადასხვა გრიპის გარდა, იწვევენ, მაგალითად, შავ ჭირს, ჯილეხს, ტულარემიას, ბრუცელოზს, წითელასა თუ ბოტულიზმს. მაგრამ აქ, ლუგარის ცენტრში, მიკროორგანიზმები ადამიანების ჯანმრთელობას ემსახურებიან.

**„იმისთვის გვჭირდება ეს კოლექცია, რომ ვიცოდეთ, საქართველოში რა მიკრობებია და თუ გაჩნდება რამე ახალი მიკრობი, შევადაროთ იმას, რაც ჩვენს კოლექციაში არის და ვნახოთ, ეს ჩვენია, ადგილობრივია, თუ ეს შემოტანილია და უნდა გამოვიკვლიოთ, როგორ შემოვიდა — ხელოვნური ხომ არ იყო, თუ ბუნებრივად შემოვიდა. ამის დადგენა დღეს ჩვენ შეგვიძლია“,** — ეუბნება რადიო „თავისუფლებას“ ლუგარის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პაატა იმნაძე — დაავაადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის (NDC) დირექტორის მოადგილე, რომელსაც საქართველოში ყველა იცნობს დაავადებებთან დაკავშირებული თავისი სატელევიზო რჩევებით. სწორედ ლუგარის ლაბორატორიაში აზუსტებენ, კონკრეტულად რა შტამის ვირუსი ცირკულირებს საქართველოში და აქ ამოიცნეს თავის დროზე ღორის გრიპად წოდებული H1N1-იც.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრი (ლუგარის ლაბორატორია) თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, გზის პირას, თვალსაჩინო ადგილას არის განთავსებული. ის ამერიკის ყოფილი სენატორის **რიჩარდ ლუგარის** სახელს ატარებს დიდი წვლილისთვის საფრთხეების შემცირების პროგრამის შექმნა-ამოქმედების საქმეში. ობიექტი აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს — თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) დაფინანსებით აშენდა, 2011 წელს გაიხსნა და ის 2013 წლიდან სავსებით ექვემდებარება საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს. 2018 წლიდან ცენტრის ფუნქციონირებისთვის საჭირო თანხას (წელიწადში 500 მილიონ დოლარზე მეტს) ქართული მხარე იხდის.

**„ვიდრე ლუგარის ცენტრი აშენდებოდა, პათოგენების წლების განმავლობაში შეგროვილი კოლექცია ინახებოდა ბევრ ლაბორატორიაში საქართველოს მასშტაბით და მათ შორის — თბილისშიც. ვირუსები და ბაქტერიები ინახებოდა არცთუ უხიფათოდ. ლუგარის ცენტრის შექმნის შემდეგ კი, ამჟამად ბევრად უფრო უსაფრთხო პირობები არსებობს პათოგენების შესანახად და მათზე მომუშავე მეცნიერთათვის“,** — ეუბნება რადიო „თავისუფლებას“ USAMRD-G-ის წარმომადგენელი, მკვლევარი ენტომოლოგი ჯოშუა ბასტი, რომელსაც ლუგარის ცენტრში შევხვდით.

ლუგარის ლაბორატორიაში განმარტავენ, რომ ყველაფერი მხოლოდ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება. აქ ტარდება დიაგნოსტიკური კვლევები და მათ შორის — C ჰეპატიტის სწრაფი ტესტით დადგენილი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით. შესაბამისად, ლუგარის ცენტრს დიდი როლი ეკისრება C ჰეპატიტის აღმოფხვრის საქართველოში მიმდინარე მასშტაბური პროექტის ფარგლებში.



ლუგარის ცენტრში, რომელიც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის პარტნიორია, სასწავლო მიზნებით ხშირად იყრიან თავს სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტები, მათი პედაგოგები, მეცნიერები და აქაურობას არც ცნობისმოყვარე დამთვალიერებელი აკლია. ცხადია, ლაბორატორიებში ყველას ვერ შეუშვებენ, მაგრამ ისედაც კარგად ჩანს ყველაფერი, რაც შუშის კარ-ფანჯრების მიღმა ხდება.

## ამერიკელები ლუგარის ცენტრში

კომპონენტში, სახელწოდებით „აშშ-ის არმიის სამედიცინო კვლევითი დირექტორატი-საქართველო (USAMRD-G)“ წარმოდგენილია ამერიკის თავდაცვის სამინისტროს უმსხვილესი ბიოსამედიცინო კვლევითი ორგანიზაცია — უოლტერ რიდის სახელობის სამხედრო კვლევითი ინსტიტუტი (WRAIR). მართალია, მისი ძირითადი ამოცანა მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა მისიაში ჩართული ამერიკელი სამხედროების ჯანმრთელობაზე ზრუნვაა, მაგრამ ინსტიტუტის 125-წლიანი წარმატებული საქმიანობის შედეგებით მთელი მსოფლიო ხეირობს.

ლუგარის ცენტრში ამჟამად მხოლოდ 9 ამერიკელი სპეციალისტი მუშაობს. მათ მხოლოდ ერთი — უსაფრთხოების მე-2 დონის — ლაბორატორია ეთმობათ და ამისათვის იჯარის თანხისა და ოპერირებისთვის საჭირო სხვა დანახარჯების დაფარვაც უწევთ. პროექტებს ისინი ქართველ კოლეგებთან ერთად ახორციელებენ.

**„ჩვენი ამოცანაა როგორც სამხედროების, ასევე სამოქალაქო პირების დაცვა დაავადებებისა და ეპიდემიებისგან. აქ ჩვენ მსოფლიოს ჯანმრთელობას ვემსახურებით“,** — ამბობს USAMRD-G-ის წარმომადგენელი, კვლევითი პორტფოლიოს მენეჯერი, მიკრობიოლოგის 18-წლიანი სტაჟის მქონე მაიკლ ვაშინგტონი. კვლევითი პროექტები უკავშირდება, მაგალითად, სასუნთქი გზების მწვავე ინფექციებს, სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებსა თუ ნაწლავურ ინფექციებს. მაიკლ ვაშინგტონი ჩვენთან საუბრისას განსაკუთრებით ერთ პროექტს გამოყოფს: **„ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი პროექტი ანტიბიოტიკების რეზისტენტულობას უკავშირდება და მას საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან (NCDC) ერთად ვახორციელებთ. ბოლო რამდენიმე ათეული წელია, გამოვლინდა ინფექციები, რომელთა მკურნალობაც შეუძლებელი იყო ანტიბიოტიკების მეშვეობით. ლუგარის ლაბორატორიაში ვიკვლევთ მიზეზებს, თუ რატომ არ ემორჩილებიან მიკრობები ანტიბიოტიკებით მკურნალობას. მიმდინარეობს ახალი მეთოდების შემუშავება, რათა აღმოვაჩინოთ ასეთი მიკროელემენტები, დავადგინოთ მათი ბუნება და განვკურნოთ დაავადებები“.**

## სიცრუის ტალღები რუსეთიდან – საინფორმაციო ომი ლუგარის ლაბორატორიის წინააღმდეგ

**„არ გვაქვს გასაიდუმლოებული სარდაფები, არა... არც სხვა ოთახები...“** — გულიანად იცინის ამერიკელების ჯგუფის წარმომადგენელი ჯოშუა ბასტი. სწორედ ასეთ რეაქციას იწვევს წლების მანძილზე რუსეთის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია, რასაც სერიოზულად უკვე თითქმის აღარავინ აღიქვამს.

და მაინც, მას შემდეგ, რაც აშენდა, რუსეთის ხელისუფლებამ და მისმა მაამებელმა მედიასაშუალებებმა ლუგარის ცენტრს ათასი რამ დააბრალეს. სხვადასხვა დროს ითქვა ისიც, რომ საქართველოში ამერიკელები ბიოლოგიურ იარაღს ამზადებდნენ. მსგავსი რამ წარსულში ნათქვამი აქვთ, მაგალითად, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვსა და რუსეთის ყოფილ მთავარ სანიტარს — გენადი ონიშენკოს.

თუმცა რუსეთის პროპაგანდა უფრო შორსაც წავიდა. 2018 წლის 12 აპრილს საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ ლუგარის ლაბორატორია იმ ბრიფინგზე ახსენა, რომელიც დიდწილად რუსი ორმაგი აგენტის სერგეი სკრიპალისა და მისი შვილის ბრიტანეთში მოწამვლის სკანდალურ ფაქტს უკავშირდებოდა.

რუსეთის სათვალავზე მოდის ასევე ზიკას ვირუსით დაინფიცირებული კოღოების აფხაზეთის რეგიონში გავრცელების ბრალდება და ცხინვალის რეგიონში ღორის გრიპის, ხოლო აფხაზეთის რეგიონში აზიური ფაროსანას გავრცელებაც. ფაროსანას, რომელიც ბუნებაში ბევრგან არსებობს, „როსსელხოზნადზორის“ წარმომადგენლები დივერსიული მიზნებით გამოყვანილს უწოდებენ. როდესაც აფხაზეთის რეგიონიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტების შეტანის აკრძალვაზე ლაპარაკობდა, იულია მელანომ „როსიისკაია გაზეტას“ უთხრა: **„არ გამოვრიცხავთ, რომ საქმე გვაქვს გარკვეული სახის ბიოლოგიური იარაღის გამოყენებასთან“.**

ლუგარის ლაბორატორიაზე სიუჟეტების მომზადებისას კრემლის ინტერესებით მოქმედი მედია ძირითადად ცალკეული რესპონდენტების უარგუმენტო მსჯელობას ეყრდნობა. ხშირად სხვადასხვა მედიაპროდუქტში ერთი და იგივე პირები და კომიკური პერსონაჟები ფიგურირებენ. რუსეთის ხელისუფლების მიერ მართული მედია არცთუ იშვიათად ამტკიცებს იმასაც, რომ ამერიკელები ცდებს საქართველოს მოსახლეობაზეც ატარებენ. NCDC-ის ინფორმაციით, არასოდეს აღრიცხულა პათოგენების გაჟონვისა და დაკარგვის შემთხვევები და არასოდეს მომხდარა საშიში პათოგენებით ლაბორატორიაში მომუშავე მეცნიერების დაინფიცირება.

დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა არაერთხელ მიიწვია რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ლუგარის ცენტრის დასათვალიერებლად, მაგრამ მოსკოვი შეთავაზებას არ გამოხმაურებია.

**„რუსეთი დეზინფორმაციას გამიზნულად ავრცელებს,** — ეუბნება რადიო „თავისუფლებას“ პაატა იმნაძე. **— აქ იმდენი რუსი მეცნიერია ნამყოფი და არა მხოლოდ დასათვალიერებლად, არამედ ნამუშევარიც კი არიან აქ რუსი მეცნიერები. ამიტომ აქ რა ხდება, ჩემზე კარგად იციან მათ. მაგრამ ეს არის, უბრალოდ, პოლიტიკა, რაც ემსახურება შავი პიარის აგორებას, თორემ აქ რომ არაფერი ხდება, ჩემზე კარგად იციან ნამდვილად“.**

**ლელა კუნჭულია**

# საომარ ვითარებათა ტაფა, რომელზეც საზარბაზნე ხორცი შიშხინებს...



**საერთაშორისო სარბიელზე შექმნილი ვითარება გავარვარებულ ტაფაზე მოშიშხინე ხორცს წააგავს, წამიც, და რომ დაიწვება. კულმინაციური მომენტები ელვის სისწრაფით ენაცვლებიან ერთმანეთს. ის-ის იყო ჩრდილო კორეასთან გამიზნული ომი ძლივძლიობით სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩარჩოებში მოექცა, ახალმა წამოყო თავი. თუმცა ირანთან დაკავშირებულ საკითხებს ახალს ვერ დავარქმევთ. ის ძველია, 1979 წლიდან მომდინარე, ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ.**

შაჰის ირანი — აშშ-ის მოკავშირე და, როგორც ამბობენ, მის მიერ ახლო აღმოსავლეთში ჟანდარმად გამწესებული, რევოლუციურმა ირანმა — აიათოლების მმართველობამ ჩაანაცვლა — შესაბამისი მსოფლმხედველობითა და პოლიტიკით. ირანის შაჰის მუჰამედ რეზა ფეჰლევის დამხობისთანავე, დაემხო აშშ-ის გავლენა ამ ქვეყანაზე და არა მარტო გავლენა, არამედ ყველა სახის, მათ შორის დიპლომატიურიც.

საკმაო დრო გვაშორებს ირანის ისლამური რევოლუციიდან, მაგრამ ცვლილება ამერიკა-ირანის ურთიერთობაში ისეთივე უცხო და წარმოუდგენელია, როგორც წყალი მთვარეზე. რაც წარმოსადგენია და რასაც ადგილი აქვს — არის ღია თუ დახურული მტრობა, უმეტესად აშშ-ის მხრიდან.

წლების განმავლობაში აშშ-მა მილიონობით დოლარი დახარჯა ანტიირანული გამოხდომებისა და პროპაგანდის საქმეში. მან არც ეკონომიკური სანქციების დაწესებაზე თქვა უარი, პირიქით, რამდენჯერმე აიძულა გაეროს უშიშროების საბჭო, მიეღო ასეთი გადაწყვეტილება. გაეროს სანქციებს თავისიც დაუმატა, გარდა ამისა, აიძულა მოკავშირე ევროპის სახელმწიფოები, მოქცეულიყვნენ ისე, როგორც აშშ. შედეგი — სავალალო.

**ირანმა, იზოლირებულმა და დასავლეთის მხრიდან დაწიხლულმა, საკუთარ ძალებზე დაყრდნობით შეძლო ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, რეგიონში თითით საჩვენებელი სახელმწიფოს აშენება. ცხადია, დასავლურმა ეკონომიკურმა სანქციებმა ხელი შეუშალა ირანს განვითარებაში, მაგრამ აიძულა ირანელი, ტვინი და ხელი გაენძრია თავის გადასარჩენად, ქვეყნის წელში გასამართად.**

**80-მილიონიანი ირანი — სტაბილური მმართველობითი სტრუქტურით, განვითარებული მრეწველობით, სოფლის მეურნეობით, განათლების სისტემით, სამხედრო მშენებლობით, რეგიონის ის ქვეყანაა, რომელსაც ავტორიტეტული სიტყვა ეთქმის. მის ნათქვამს ყურადღებით უსმენენ არა მარტო ახლო აღმოსავლეთში.**

ირანი სერიოზულ როლს ასრულებს ტერორიზმთან ბრძოლაში — გაცილებით მეტს, ვიდრე აშშ და მის მიერ შექმნილი კოალიცია — 64 ქვეყნის შემადგენლობით. დიდია ირანის გავლენა სირიასა და ერაყში, სადაც ირანი რუსეთთან ერთად, პირისპირ ებრძვის „ისლამურ სახელმწიფოს“, სხვა ტერორისტულ დაჯგუფებებს. შედეგიც აშკარაა, რაც თავისთავად ცუდად აღიქმება როგორც ისრაელში, ისე აშშ-ში, ევროკავშირში.

სირია-ერაყში საომარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ, მოსალოდნელია სხვა პოლიტიკური ცხოვრების დაწყება. რამდენად არის შესაძლებელი ირანის მიერ საომარი მოქმედებების დროს ჩაშვებული ფესვების განმტკიცება სირია-ერაყში, ძნელი სათქმელია.

**ვითარების ბუნებრივობა გვეუბნება რომ ის, ვინც სირია-ერაყში სისხლი ღვარა, მშვიდობიან ცხოვრებაში დაფასებული იქნება, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ირანს მჭიდრო ურთიერთობები აქვს ერაყ-სირიის ხელისუფლებებთან, რაც ევროატლანტიკური სივრცისთვის ერთობ დისკომფორტულია. განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოხატავს აშშ-ის ადმინისტრაცია, რაც არ არის გასაკვირი. მან ხომ მილიარდობით დოლარი დაახარჯა ერაყ-სირიის ავანტიურას?!**

როგორი ასატანია, ომი გააჩაღო და საბოლოო ნაყოფი სხვამ, ამ შემთხვევაში ირანმა, მოიწიოს?!

აშშ-ის ყოფილი ადმინისტრაციები დარწმუნებული იყვნენ, რომ ერაყსა და სირიაში სწორედ მათ ეთქმოდათ სიტყვა, ისინი უნდა ყოფილიყვნენ ნებისმიერი საკითხის მომწესრიგებლები, განსაკუთრებით ენერგეტიკის. წლების განმავლობაში ირანი აქტიურად მოქმედებდა ერაყსა და სირიაში. მჭიდრო კავშირებს ამყარებდა იქ მცხოვრებ შიიტებთან, პოლიტიკურ წრეებთან.

აშშ-ის ადმინისტრაციამ ჯეროვანი ყურადღება არ დაუთმო ისეთ თემას, როგორიც მუსლიმური სულიერებაა, მით უმეტეს შიიტური. ამ სულიერი სამყაროსთვის ამერიკული პოლიტიკა მუდამ თავსმოხვეული, უცხო იქნება ირანულთან შედარებით — სულით ხორცამდე ღვიძლთან. ერაყ-სირიისთვის თანამედროვე ირანი მარტო სულიერება როდია. ის არის ეკონომიკურ-ფინანსური დახმარება, სამხედრო პოტენციალი, სხვა „ის“, რითაც „დიდი“ მომხიბლველია.

**ირანის პოზიციებს ზურგს უმაგრებს რუსეთთან ურთიერთობა, კარგი დამოკიდებულება ჩინეთთან, რომელიც სულ უფრო ეფექტურად ერთვება ახლო აღმოსავლეთის საკითხებში. ასე რომ, ირანი მარტო არ არის, ასეთი კი შემაშფოთებელია, როგორც ვაშინგტონის, ისე ბრიუსელისთვის, რაც სულ ახლახან გამოვლინდა პრეზიდენტ ტრამპის განცხადებაში. ის, რომ ირანი აშშ-ის მტერი და ტერორიზმის „დამხმარე“ ქვეყანაა, ტრამპი წელიწადზე მეტია, ლაპარაკობს. ლაპარაკობს იმაზეც, რომ აშშ დატოვებს შეთანხმებას, გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრს, გერმანიასა და ირანს შორის პრეზიდენტ ობამას დროს ხელმოწერილს, თუ ის ძირფესვიანად არ გადაკეთდება. ტრამპი იმასაც აცხადებს, რომ ირანის გაჯიუტების შემთხვევაში გამორიცხული არ არის ძალისმიერი მოქმედებაც.**

ერთი სიტყვით, ჩრდილო კორეულმა მილიტარისტულმა კულმინაციამ ირანისკენ გადმოინაცვლა — დაახლოებით იგივე რიტორიკით, რასაც კორეასთან მიმართებაში ჰქონდა ადგილი. როდესაც აშშ-ის მმართველობის საჭესთან ისეთი ბიზნესმენ-„პოლიტიკოსია“, როგორიც ტრამპი, მილიტარისტული ნაბიჯი გამორიცხული არ არის.

მარტო სირიის 2-ჯერ დაბომბვა რად ღირს. მართალია ორივეჯერ რუსეთის სამხედრო კონტიგენტს არაფერი შეხებია, მაგრამ არც ეს იყო გამორიცხული. მფრინავ რაკეტას, რაც არ უნდა „ჭკვიანი“ უწოდო, რკინაა და არვინ იცის, ფრენისას როგორ შეიცვლის კურსს, რასაც ჰქონდა კიდევაც ადგილი.

ცეცხლზე ნავთს ასხამს ისრაელის პრემიერ-მინისტრი ნეთანიაჰუ, რომელმაც ძველი ამბავი ახლად გაასაღა და მსოფლიოს ელექტრონული მედიის საშუალებით გვაუწყა, რომ ირანი ყველას ატყუებს და მიუხედავად ხელშეკრულებისა, ფარულად აწარმოებს ბირთვულ იარაღს.

ტელეკომპანიებმა BBC-მ, CNN-მა, Euronews-მა, სხვებმა ნეთანიაჰუს სიუჟეტი პირველ ნომრად გაუშვეს, რასაც, როგორც მოსალოდნელი იყო, მოჰყვა ტრამპის განცხადებაც — ხელშეკრულებიდან გამოსვლის თაობაზე (თუ არ შეიცვლება ხელშეკრულება).

ნეთანიაჰუ-ტრამპის სინქრონულ განცხადებას რომ წინასწარ მომზადებულის სუნი ასდიოდა - ფაქტია, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის, რომელიც ვერ ერკვევა ახლო აღმოსავლეთის, განსაკუთრებით ირანის საკითხებში, ნეთანიაჰუს „სენსაციური განცხადება“ სინამდვილედ აღიქმება. ამ ფონზე ატომური ენერგიის მაკონტროლებული ორგანოს წარმომადგენლის ახსნა-განმარტება უფრო თავის მართლებას ჰგავს. მან თქვა, რომ ნეთანიაჰუმ ძველი ვიდეო-მასალა გამოიყენა, რაც სრულიად არ შეეფერება დღევანდელობას.

ეს ორგანიზაცია სისტემატურ მონიტორინგს უწევს ირანის კვლევით ლაბორატორიებს და პირნათლად შეუძლია განაცხადოს, რომ ირანი ასრულებს ხელშეკრულების მოთხოვნებს. იგივეს ამბობენ ხელშეკრულების ხელმომწერი რუსეთი, ჩინეთი, ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია.

ვაშნგტონში ვიზიტის დროს საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა და გერმანიის კანცლერმა მერკელმა განუცხადეს ტრამპს, რომ პრეტენზიები არა აქვთ ირანთან — თუმცა არც ის გამორიცხეს, გაუმჯობესების მიზნით გადახედონ ხელშეკრულებას. რაც შეეხება სირია-ერაყში და ახლო აღმოსავლეთში ირანის პოლიტიკას, სამივენი შეთანხმდნენ, რომ არის მიუღებელი და ნეგატიური.

ევროკავშირის მიხედვით, ირანთან დადებული ხელშეკრულება პოლიტიკურია და შეცვლას არ საჭიროებს. მაშ რა აღელვებს ამერიკელ და ევროპელ პოლიტიკოსებს?

**ირანის პოზიციების განმტკიცება სირია-ერაყში, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, ფეხი მოიკიდოს ხმელთაშუა ზღვის აუზში. ირანი ძალაა და მისი ხმელთაშუა ზღვაში მუდმივი ყოფნა ნაკლებად მისაღებია მათთვის. თუ ამას დავუმატებთ რუსეთის სამხედრო ბაზებს სირიაში და მის თანამშრომლობას ირანთან, ევროატლანტიკური სივრცისთვის ერთობ არასახარბიელო ვითარებაა შექმნილი. და ის, რაც რამდენიმე წლის წინათ იყო დაანონსებული, რეალობად შეიძლება იქცეს. მაშინ ახლოაღმოსავლური პრესა წერდა სამხედრო წვრთნის შესახებ, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღოთ რუსეთს, ჩინეთს, ირანსა და სირიას.**

სავარაუდო წვრთნები მასშტაბური შეიძლება ყოფილიყო. მასში მონაწილეობა უნდა მიეღო 90 000 ჯარისკაცს, 400 თვითმფრინავს, ათას ტანკს, ასობით რაკეტას, მაგრამ მაშინ წვრთნები არ გაიმართა, თუმცა, თუნდაც არშემდგარმა, მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა აშშ-ის ადმინისტრაციაზე. ეს იყო თავისებური გაფრთხილება კვარტეტის მხრიდან, რომ აშშ-ის ქმედებას ახლო აღმოსავლეთში მკაცრი თვალი გააკონტროლებს და მას არ მისცემს საშუალებას, ისე იპარპაშოს, როგორც ადრე.

**ჩინეთის გამოჩენა ახლო აღმოსავლეთში, მეტადრე სირიაში, გასაკვირი არ არის. სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტულ ორგანიზაციაში ჩინეთის სინცზიან-უიგურის ავტონომიის ექსტრემისტებიც იღებდნენ მონაწილეობას. პეკინი შეშფოთებულია მათი ანტიჩინური მოქმედებით თვით ჩინეთში, ამიტომაც ჩინელი ძალოსნების გარკვეული რაოდენობა ისლამისტ ტერორისტებსაც ებრძოდა სირიაში და მათ დამხმარე უიგურებსაც.**

პეკინს აშფოთებს ვაშინგტონის პოზიცია უიგურ რადიკალებთან მიმართებაში. მათი იარაღით დახმარება და პეკინის წინააღმდეგ მიმართვა. სინცზიან-უიგურის ავტონომიურ რეგიონში სეპარატისტული განწყობის გაღვივება ის დასავლური მზაკვრული ნაბიჯია, რასაც თავისუფლად შეუძლია, ცეცხლი შეუნთოს ჩინეთის სტაბილურობას.

რუსეთის აქტიურმა ჩარევამ სირიაში შედეგი გამოიღო ანუ წყალი შეუყენა დასავლურ გეგმას, რომელიც გამიზნული იყო სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის დასამხობად და მის ნაცვლად პროდასავლური რადიკალების ქვეყნის სათავეში მოსაყვანად. სირია უნდა გადაქცეულიყო რადიკალური ისლამის დიდ საწვრთნელ ბაზად, საიდანაც აფრენილი ტერორისტები კურსს აიღებდნენ ჩეჩნეთისკენ და სინცზიან-უიგურის ავტონომიისკენ.

რუსეთის ტელესივრცეში ხშირად გვსმენია საყვედური პუტინის მიმართ, რომ რუსეთს არაფერი ესაქმება სირიაში და მან იქაურობა უნდა დატოვოს. სირიაში ომი დასასრულს უახლოვდება, რაც შეუძლებელი იქნებოდა რუსეთის ჩარევის გარეშე.

აშშ-მა დაკარგა სირია, მაგრამ ის ამ მარცხს ვერ ეგუება, ამდენად ეძებს საბაბს, შეაბრუნოს ვითარება სირიაში. ამისთვის იდგმება სპექტაკლი — ქიმიური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელშიც ბრალს დებენ როგორც ასადს, ისე პუტინს და ირანს.

**გულუბრყვილო და საქმეში ნაკლებად ჩახედულ მსოფლიო საზოგადოებას იმ „ჰუმანიზმით“ კვებავენ, რასაც ვითომ აშშ და მისი მოკავშირეები ავლენენ სირიელი ხალხის მიმართ. არადა, სინამდვილეში სწორედ აშშ და მისი მოკავშირეები არიან იმ შვიდწლიანი ტრაგედიის ავტორები, რასაც სირიაში აქვს ადგილი.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**

**პოლიტოლოგი**

## ანგელა მერკელი: ირანთან ბირთვული შეთანხმების გაუქმება არასწორია



**„ირანთან ბურთვული შეთანხმება არ არის იდეალური, თუმცა მისი გაუქმება ახლა არასწორია“ — განაცხადა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა.**

„ეს შეთანხმება ყველაფერი შეიძლება იყოს გარდა იდეალურისა, თუმცა ირანი ხელშეკრულების ფარგლებში, საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს ვალდებულების მიმართ ერთგულია. ეს შეთანხმება ერთხმად დამტკიცებულია გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ. სწორედ ამიტომ ჩვენ — დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია — ასევე ჩვენს გვერდით არის სხვა ევროკავშირის წევრები, მიგვაჩნია, რომ არასწორია გაუქმდეს ეს შეთანხმება ამ სიტუაციაში“ — განაცხადა მერკელმა.

# ასე ამბობდა უინსტონ ჩერჩილი



**„მე არასოდეს! არასოდეს! არასოდეს არ დავნებდები!“**

**ქართულად გადმოაქნა გურამ გოგიაშვილმა**

## თავის თავსა და თავის მიდრეკილებებზე

**მე** ღოთების მიმართ უღრმესი ზიზღის ატმოსფეროში გავიზარდე და აღვიზარდე.

* * *

**ეს** თუ მიწიერებისა და სევდის სამყარო იქნება, მე ჩემთვის ბიწიერებას ვარჩევ, თქვენ სევდა აირჩიეთ.

* * *

**თემთა** პალატაში ყოველ ჩემს წელიწადს ჩემს თავს ერთ რასმე ვეუბნებოდი — „სიტყვას ნუ გააწყვეტინებ“, მაგრამ ვერცროდის ვერ შევძელი ამ ჩემივე მითითების შესრულება.

* * *

**მე** მხარს ვერ დავუჭერ იმ იდეას, რომ ჩვენთვის უკეთესი იქნება, თუ თავს მიწაში ჩავიფლობთ და პასიური თავდაცვის გარდა, არც არაფრისთვის არ მოვემზადებით. ეს კუსებრი აზროვნებაა.

* * *

**მე** თემთა პალატის შვილი ვარ. აღზრდილი ვარ მამაჩემის სახლში დემოკრატიის რწმენით.

* * *

**ჩემი** სინდისი კარგი გოგონაა, რომელთანაც მოწესრიგებული მაქვს ურთიერთობა.

* * *

**შვებით** ამოვისუნთქავ, როცა მიზეზისა და თეორიის მოლივლივე ზღვიდან ამოსული შედეგისა და ფაქტის მტკიცე ხმელეთს ვადგამ ფეხს.

* * *



**გაუხედნავ ცხენს ვერ ვიტან: თუ შეჯდომა მოახერხე, სახამუშოა — მოგიგდებინებს, თუ წინ ან უკან დაუდექი, საშიშია — ან დაგკბენს, ან დაგტლინკავს.**

**თუკი** დღეს პოპულარული ვარ ჩემს თანამოქალაქეთა შორის, ეს სულაც არა იმიტომ, რომ უახლოეს წლებში საზოგადოებრივ მოსაზრებას ვეთანხმებოდი.

* * *

**საუზმეზეც,** სადილზეც და ვახშამზეც მაგიდაზე შამპანური მიდგას, შუალედებში — სათლში ჩაცივებული კლარეტი და სოდიანი წყალი.

* * *

**ვსვამ** კიდეც და ვეწევი კიდეც, თანაც ჯანმრთელი ვარ ორასი პროცენტით.

* * *

**განვლილ** ცხოვრებას რომ გავცქერი, ერთი ბერიკაცის ამბავი წამომაგონდება ხოლმე, სიკვდილის სარეცელზე სათქმელი თითქოს სულს ამოაყოლაო, გამენდო, ჩემი ცხოვრება უსიამოვნებებით იყო სავსე, რომელთაგან უამრავლესობა არ მომხდარაო.

* * *

**ვერასგზით** ვერ ვირწმუნებ სტატისტიკას, რომლის ცვლილებაშიც ჩემი ხელი არ ურევია.

* * *

**სასმელმა** ბევრად მეტი მომცა, ვიდრე ჩემმა საკუთარმა დედ-მამამ.

* * *

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №102

**ახალგაზრდობაში** თვით ყველაზე უფრო დაუჯერებელი ამბიციებით ვირთობდი თავს, და საკვირველია, ყველა ერთპირ დამიკმაყოფილდა.

* * *

**მე** იმათ არ ვეკუთვნი, ვისაც ბიძგება უნდა, მე თვითონ, თუ გნებავთ, ვინც გინდათ, იმას ვუბიძგებ.

* * *

**რანაირიც** არ უნდა იყოს, ყოველთვის ყოველგვარი დონის ფუფუნებას ვეგუები, არც ვჩივი და არც ვწუწუნებ, ეს ერთ-ერთი ჩემი კარგი თვისებაა.

* * *

**სიზუსტე,** ზედმიწევნილობა კარგი ჩვეულებაა. მთელი ჩემი ცხოვრება ვცდილობდი ამ თვისების შეძენას.

* * *

**მუდამ** დიდი შრომის ფასად მიჯდება ჩემში ზნეობრივი მოძღვრის ნდომის ჩახშობა.

* * *

**თუმცაღა,** მუდმივად მზად კი ვარ მარტვილობისთვის, მაგრამ ყოველთვის ვგონებდი, რომ ამ საქმეში აჩქარება არა ღირს.

* * *

**ჩემს** წარმოდგენაში კარგი სადილი კარგი საჭმელია, სადილს შემდეგ ამ კარგი საჭმლის წვლილად განხილვა მოჰყვება, ხოლო მერე, როგორც კი ეს განხილვა მოთავდება, იწყება საუბარი, რომლის მთავარ როლშიც მე გამოვალ.

* * *

**მე** ან სიამოვნებისთვის, ანდა სარგებლობისთვის ვკითხულობ.

* * *

**რასაკვირველია,** ეგოისტი ვარ. სხვანაირად განა რასმე მიაღწევ კაცი?

* * *

**ჩემს** ცხოვრებაში ყოველთვის ბევრად მეტ ყურადღებას ვაქცევდი თვითგამოხატვას, ვიდრე თვითგანწირვას.

* * *

**ის** კი არა, ჩემი მეგობრებიც არ მადანაშაულებენ ზედმეტ თავმდაბლობასა და მორიდებულობაში.

* * *

**კრიტიკა** სულაც არა მწყინს, თუნდაც ჩემი კრიტიკოსები ლამაზი სიტყვის გულისთვის დროებით რეალობის შეგრძნებასაც კარგავდნენ.

* * *

**დარწმუნებული** არა ვარ, უნდა ვეჭვობდე თუ არა, რათა საქმე დავიწყო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ არ უნდა გავჩერდე.

* * *

**რისამე** წინათქმისთვის თუ წინასწარ განჭვრეტისთვის თავის არიდებას ვცდილობ, ვინაიდან საუკეთესო პოლიტიკა, ჩემის აზრით, ის არის, როცა იმის შემდეგ წინასწარმეტყველებ, ყველაფერი უკვე რომ მომხდარია.

* * *

**ყველაზე** უკეთ ის ადამიანები მექცეოდნენ, რომლებიც ყველაზე მეტად იტანჯებოდნენ!

* * *

**თუ** გაზეთებმა წერა დაიწყეს, მოწევას თავი უნდა დაანებოთო, მე მირჩევნია თავი დავანებო გაზეთების წაკითხვას..

* * *

**შამპანური** ჩემი ცხოვრების განუყრელი ნაწილია, გამარჯვებისას ვიმსახურებ, დამარცხებისას — ვსაჭიროებ.

* * *

**ყოველ** ადამიანს უწევს ცხოვრების მანძილზე „დიდ შანსზე“ ფეხის წამოკვრა და წაქცევა. საუბედუროდ, ბევრი ჩვენგანი ეგრევე წამოდგება, ტანსაცმელს ჩამოიბერტყავს და გზას განაგრძობს, თითქოს არც არაფერი არ მომხდარიყოს.

* * *

**ისე** მეტისმეტად ვარ დაკავებული, რომ შესაწუხებლად დრო აღარ მრჩება.



* * *

**ყველაფერი,** რაც მინდოდა, ჩემს სურვილებთან შეთანხმებაა კონსტრუქციული დისკუსიის შემდეგ.

* * *

**ჩემს** ასაკში თავს ცუდად ყოფნის ნებას უკვე ველარ მივცემ!

* * *

**საზღვარგარეთ** ყოფნისას არცროდის ჩემი ქვეყნის მთავრობას არ ვაკრიტიკებ, მაგრამ ამას ერთი-ორად ვანაზღაურებ შინ დაბრუნებული.

* * *

**ხშირად** მეკითხებიან: „რისთვის ვიბრძვითო“. პასუხი მზად მაქვს: „შევწყვიტოთ ბრძოლა და მაშინ გაიგებთ-მეთქი“.

* * *

**დიახ,** ოპტიმისტი ვარ. ვერ ვხედავ განსაკუთრებულ სარგებელს რასმე, თუ, ამას გარდა, კიდევ სხვა რამე ვიქნებოდი.

* * *

**ვფიქრობდი,** ალბათ, სიბერით მოვკვდები-მეთქი, მაგრამ როცა რუსეთმა, რომელიც პურით მთელ ევროპას კვებავდა, ხორბლის შესყიდვა დაიწყო, მივხვდი, რომ სიცილით სიკვდილი მიწერია.

* * *

**სწავლისთვის** ყოველთვის მზად ვარ, მაგრამ ყოველთვის არ მომწონს, როცა მასწავლიან.

* * *

**სასმელისგან** ბევრად მეტი გამოვიტანე, ვიდრე იმან ჩემგან გაიტანა.

* * *

**ყოველთვის** ვიცავდი ერთ ასეთ წესს: ნუ გაიქცევი — თუ დგომა შეგიძლია; ფეხზე ნუ დგახარ — თუ დაჯდომა შეგიძლია; ნუ ზიხარ — თუ დაწოლა შეგიძლია.

* * *

**ჯერ** კიდევ კარგა ხნის წინათ შევამჩნიე, რომ ყველა ესწრაფვის ყველაფერში ჩემს დადანაშაულებას. როგორც ჩანს, ისინი ფიქრობენ, რომ დანაშაულის გრძნობა მამშვენებს.

* * *

**ჩემის** ფიქრით, ისტორია კეთილგანწყობილი იქნება ჩემ მიმართ, რადგან საკუთარი ხელით ვეპირები იმის დაწერას.

* * *

**რაც** შემეხება მე, მზად ვარ შემოქმედთან შესახვედრად. სხვა საქმეა, მზად არის თუ არა შემოქმედი ისეთი მძიმე განსაცდელისთვის, როგორიც ჩემთან შეხვედრაა.



**პეიზაჟებს მეტი ხალისით ვხატავ და მირჩევნია კიდეც. ხე არ იჩივლებს, კი გამომხატა, მაგრამ საჭირო მსგავსებას ვერ მიაღწიაო.**

* * *

**არცროდის** არანაირ ურთიერთობას არ ვამყარებ იმ ადამიანებთან, რომელთაც ჩემთვის ყველა საძულველი სათნოება აქვთ და არც ერთი ჩემი აღმტაცი მანკი არ გააჩნიათ.

* * *

**ახალგაზრდობაში** მეც რევოლუციონერი ვიყავი, მაგრამ, როცა თქვენც მოიწიფებით და დაბრძენდებით, ვალდებულნი ხართ, რომ კონსერვატორები იყვნეთ.

* * *

**ყოველთვის**, როცა სავსე დარბაზს ვხედავ, აუცილებლად იმაზე ვფიქრობ, სიტყვის წარმოთქმის მაგივრად ეშაფოტზე რომ ავდიოდე, ორჯერ მეტი მაყურებელი შეიკრიბებოდა-მეთქი.

* * *

**სახლიდან** ჩემი წასვლის გამო იმდენს მეთათბირებოდნენ, რამდენსაც ამქვეყნად ჩემი მოვლინების ჟამს.

* * *

**ჩემის** აზრით, არაპუნქტუალობა საზიზღარი რამ თვისებაა, და მთელი ჩემი ცხოვრება ვცდილობდი იმის დაძლევას.

* * *

**საუკეთესო** რამ სულ ადვილად მაკმაყოფილებს.

**(გაგრძელება იქნება)**

◉ წინ, საქართველოვ!

# ბაგრატის საღამო სკოპიეში



**ჭაბუკი მოჭიდავეები ევროპის პირველობაში ჩაებნენ. შეჯიბრებას მაკედონიის დედაქალაქი მასპინძლობს. სარბიელი ჯერ თავისუფალი სტილის წარმომადგენლებმა მოსინჯეს.** ქართველთაგან საუკეთესო იყო ქუთაისელი ბაგრატ გაგნიძე (71 კგ), რომელმაც ყველა მეტოქეს სძლია და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. სკოპიეს ხალიჩაზე მან ფინალურ პაექრობაში რუსეთელი რამაზან აბუზაგიდოვი დაჯაბნა. არადა, თავიდან ჩრდილოელმა მეზობელმა ქართველის უყურადღებობით ისარგებლა და ჩოქბჯენში გადაიყვანა, რისთვისაც 2 ქულა დაიმსახურა. შეხვედრის განახლების შემდეგ გაგნიძემ ჯვარედინი მოვლებით მეტოქეს ოთხქულიანი ფანდი ჩაუტარა და დაწინაურდა. რამაზანის მწვრთნელსა და არბიტრებს წინა ილეთთან დაკავშირებით რაღაც გაახსენდათ — ტაბლოზე ანგარიში გადაასწორეს - 4:4. ეტყობა, მერე შერცხვათ და რუსეთელს ქულა ჩამოაკლეს - 4:3. ეს შედეგი გაგნიძემ გონგამდე შეინარჩუნა. რუსებმა ისევ გააპროტესტეს შეხვედრის ანგარიში, მაგრამ მსაჯები არ დაეთანხმნენ და ქულა ქართველ მოჭიდავეს დაუწერეს. საბოლოოდ ბაგრატმა 5:3 გაიმარჯვა. იმავე დღეს ბრინჯაოს მედლები გიორგი ჭოლაძემ (51) და ვალერი გამყრელიძემ (60) დაიმსახურეს. ქართველთაგან კიდევ ხუთ ფალავანს აქვს მედლების მოპოვების შანსი, თანაც ქუთაისელი დავით აბდალაძე (55) ფინალშია.

**ლექსო ცინცაძე**

◉ კარატე

# არქანიას ევროპული „ბრინჯაო“

**სერბულ ნოვი სადში გამართულ კარატისტთა 53-ე ევროპის ჩემპიონატში შესანიშნავად იასპარეზა 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა გოგიტა არქანაიამ, რომელმაც მძიმე წონაში (+84 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.** პირველ წრეში მან ანდრეის ოზეროვსს (ლატვია) სძლია - 2:0, შემდეგ ელმირ სეკუნჯანინი (მონტენეგრო, 1:0) და სლობოდან ბიტიევიჩი (სერბეთი, 2:0) დაამარცხა, მაგრამ ნახევარფინალში ივან კლეპიჩთან (ბოსნია-ჰერცეგოვინა) წააგო — 1:2. მესამე ადგილისთვის პაექრობაში გოგიტამ მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონატებისა და უმაღლესი კატეგორიის ტურნირების გამარჯვებულსა და პრიზიორს, მძიმეწონოსანთა რეიტინგის სათავეში მყოფ ჯონათან ჰორნეს (გერმანია) აჯობა - 3:2. ასევე, მესამე იყო ტირონ-დარნელ ლერდი (ჰოლანდია), ხოლო პირველ-მეორე ადგილებზე, შესაბამისად, ივან კლეპიჩი და შაჰინ ატამოვი (აზერბაიჯანი) გავიდნენ.

**გივი გაგუა**



◉ სამბო

# ელადაში - უძლიერესი შემადგენლობით

**18-20 მაისს საბერძნეთის დედაქალაქი ათენი სამბისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად ქართველებიც იასპარეზებენ — ვაჟებიც და ქალებიც. ორივე გუნდი უმთავრესად ლიდერებითაა დაკომპლექტებული. მათ შორის არიან ვაჟთა ნაკრების გამოკვეთილი ლიდერი, საქართველოს ყველა დროის საუკეთესო სამბისტი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ვახტანგ ჩიდრაშვილი, აგრეთვე ქალებში საუკეთესონი — ნინო ოძელაშვილი და ელენე ქებაძე.**

ორივე ჩვენი ნაკრები მთავარი მწვრთნელის — ჯონდო მუზაშვილის ხელმძღვანელობით კონტინენტის ჩემპიონატისთვის საფუძვლიანად მოემზადა და ევროპირველობაზე ქომაგთა იმედების გამართლებას შეეცდება.

**ვაჟები.** გივი ნადარეიშვილი (52 კგ, ფოთი), ვახტანგ ჩიდრაშვილი (57, თელავი), გენადი ჩირგაძე (62, ქუთაისი), მინდია ლილუაშვილი (68, ზესტაფონი), ლევან ნახუცრიშვილი (74, მცხეთა), ბესიკ ბერულავა (82, ზუგდიდი), პაატა ღვინიაშვილი (90, ქარელი), დავით ლორიაშვილი (100, მარტყოფი), ბექა ბერძენიშვილი (+100, კასპი).



**ქალები**. სალომე აბაშიძე (60, ბათუმი), ელისო სისაური (64, ახმეტა), თეონა სუხიტაშვილი (68, თბილისი), ნინო ოძელაშვილი (72, წყნეთი), ირინე ლეონიძე (80, ბათუმი), ელენე ქებაძე (+80, ლაგოდეხი).

**ლაშა დიდია**

◉ აქტუალური ინტერვიუ

# ნარკომომხმარებლებისადმი სადამსჯელო მიდგომამ შედეგი ვერ გამოიღო

(მესამე გვერდიდან)

**— ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, ალბათ, არის სააფთიაქო ქსელები, სადაც ფსიქოტროპული წამლების გაყიდვა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ხდება და განსაკუთრებით ახალგაზრდებზე. გასაგებია, რომ მომხმარებელი არ უნდა დაიჭირო და ციხის ნაცვლად, მას უნდა უმკურნალო, მაგრამ ეს მიმართულებაც ითხოვს ყურადღებას, რადგან სააფთიაქო ქსელი არანაკლებ საშიშია, ვიდრე იგივე რეალიზატორი...**

— გეთანხმებით. აქ პირდაპირ იკვეთება სახელმწიფოს და სამართალდამცავი სტრუქტურების როლი. ერთი მხრივ, კანონმდებლობის დახვეწა ამ მიმართულებით და მეორე მხრივ, აღსრულების დახვეწის. აქ ნამდვილად მნიშვნელოვანი უნდა იყოს სახელმწიფოს ქმედებები. მით უმეტეს ძალიან ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ეს აფთიაქები ასე ღიად კანონდარღვევით ვერ იმოქმედებენ, რომ არ იყვნენ ვიღაცის მფარველობის ქვეშ. ბუნებრივია, მე ამის დამადასტურებელი ფაქტები არ მაქვს, მაგრამ ვითარება ნამდვილად გაფიქრებინებს, რომ აქ არსებობს რაღაცა სისტემა, რომელიც ამას უშვებს და მფარველობს.

**— როდესაც ვსაუბრობთ დეკრიმინალიზაციის აუცილებლობაზე, პარალელურად, დეკრიმინალიზაციის ნებისმიერი ფორმის მიუღებლობაზე საუბრობს საზოგადოება და ითხოვენ რეფერენდუმის ჩატარებას, რომ ხმათა უმრავლესობით გადაწყდეს ეს საკითხი. ქართველი საზოგადოება არის მზად ამ ნაბიჯისთვის? ფსიქოლოგები ამბობენ, რომ არ არის ქვეყანა მზად ამ ცვლილებისთვის და მით უმეტეს ახალგაზრდა თაობა. დეკრიმინალიზაციას რამდენად ახლავს ის პრობლემა, რაც გამოიწვევს მოხმარების წახალისებას, როგორც ეს მარიხუანას შემთხვევაში მოხდა?**

— მე არ მჯერა იმისა, რომ ვიღაცა არ არის მზად. მაშინ, ჩვენ არაფრისთვის არ ვართ მზად, არც ევროპისთვის და არც ნატოსთვის. ეს არის პირადი მოსაზრებები და შთაბეჭდილებები ცალკეული ადამიანებისა. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მარიხუანის დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით, გეთანხმებით, რომ აქაც იყო სახელმწიფოს ვალდებულება, რომ სწორად მიეტანა საზოგადოებამდე ინფორმაცია, თუ რა მოხდა.

არც ერთი განმარტება არ გაკეთებულა, არ მომხდარა სწორი ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებამდე და ნამდვილად, ადამიანების ნაწილმა არასწორად აღიქვა, რომ ამ პრეპარატის მოხმარება თავისუფლად შეიძლებოდა. როდესაც ხდება ასეთი ფრაგმენტული ცვლილებები, იქნება ეს საკონსტიტუციო თუ რომელიმე ფრაგმენტული კანონპროექტი, ყოველთვის გვექნება საქმე იმასთან, რომ რაღაცას არ გაითვალისწინებენ, ვიღაცა არასწორად გაიგებს და ა.შ.

ზუსტად ამის საპირისპიროდ, კომპლექსურია ჩვენი კანონპროექტი. არის ერთობლიობა, როგორც საკანონმდებლო ცვლილებებისა, აგრეთვე, ყველა იმ სერვისის და ინტერვენციის, რომელიც სახელმწიფომ უნდა გაატაროს, დაწყებული პირველადი პრევენციიდან სკოლებში, სადაც ახალგაზრდებს უნდა ასწავლონ, თუ რა საფრთხეებია მოხმარებასთან დაკავშირებული და ასევე, სერვისების განვითარება, რომელიც იმ ადამიანებს დაეხმარება, ვისაც უკვე აქვს პრობლემები.

**ესაუბრა**
**თამთა ქარჩავა**

# პროკურატურამ ბათუმის ყოფილი მერი დაკითხა

**ბათუმის მერიის ყოფილი და მოქმედი მაღალჩინოსნები პროკურატურაში დაკითხეს, მათ შორის არის ქალაქის ყოფილი მერი გიორგი ერმაკოვიც. გამოძიება პროექტ „იაფ სახლთან“ დაკავშირებით მიმდინარეობს.**

აჭარის ტელევიზიის ცნობით, პროექტ „იაფი სახლის“ მშენებლობის გამო ბათუმის მერიამ ხელშეკრულება აზერბაიჯანულ კომპანია „კონვენტ ჯორჯიასთან“ 2015 წლის დეკემბერში გააფორმა.2016 წლის 3 თებერვალს კი კომპანიას ავანსის სახით 1 მილიონ 621 ათასი ლარი გადაურიცხა. ამის შემდეგ კომპანიამ ვალდებულებები არ შეასრულა, რის გამოც 2016 წლის 16 ოქტომბერს ხელშეკრულება შეწყდა და მერიამ კომპანიას თანხების დაბრუნება მოსთხოვა, რაც დღემდე არ შესრულებულა. ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

ერმაკოვის და ბათუმის მერიის მაღალჩინოსნების გარდა საგამოძიებო უწყებამ აჭარის განათლების მინისტრის მოადგილე ბაგრატ მანველიძეც დაკითხა.

„იაფი სახლის“ პროექტი შეისწავლა სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, რომლის მომზადებულ დასკვნაში წერია, რომ კომპანია „კონვენტ ჯორჯიამ“ წარადგინა ბრიტანული კომპანია POINT BANK Ltd-ის საგარანტიო წერილი. მოგვიანებით ბათუმის მერიის მიერ მოძიებული მასალებით დადგინდა, რომ დაფუძნებიდან დღემდე, კომპანიას თვითდეკლარირების საფუძველზე, მინიჭებული აქვს ე.წ. არააქტიური კომპანიის კოდი 54 , რაც გულისხმობს, რომ კომპანია არ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და არ გააჩნია შემოსავალი.



**„მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირების მხრიდან, გადაწყვეტილებების მიღების დროს, გარემოებათა არაჯეროვანი გამოკვლევისა და მოსალოდნელი რისკების შეუფასებლობის გამო, მუნიციპალიტეტს მიადგა არანაკლებ 1,430,342 ლარის ზიანი“** — წერია აუდიტის დასკვნაში.

# რუსთავში პატრულმა პატრული დააჯარიმა

**რუსთავში, ქუთაისის ქუჩაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რა დროსაც, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი და სატვირთო მანქანა ერთმანეთს შეეჯახნენ.**

როგორც „ჯი-ეიჩ-ენს“ შსს-ში განუცხადეს, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა, მცირედ დაზიანდა ავტომობილები, მომხდარის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მეათე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულად დაჯარიმდა საპატრულო ეკიპაჟის მძღოლი.

დღესასწაული

# ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი



17 მაისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს უფლის ამაღლებას.

აღდგომის შემდეგ უფალი იესო ქრისტე ორმოცი დღის მანძილზე მიწაზე იმყოფებოდა და მოწაფეებს ათჯერ გამოეცხადა. ამ ქვეყნად ხილული ყოფნის უკანასკნელ დღეს მან მოციქულებსა და მოწაფეებს უბრძანა, იერუსალიმს არ გაშორებოდნენ.

ცნობილია, რომ იესო ქრისტე ელეონის მთაზე გაუძღვა მათ. სწორედ იქ უქადაგა და სასწაულებრივი ძალის მოვლინება აღუთქვა: „მიიღოთ სული წმიდაი“.

საგულისხმოა ისიც, რომ უფალმა ელეონის მთაზე ხელი დაასხა ყველას, აკუთრხა და მათ თვალწინ ცად ამაღლდა. ამაღლების დროს იქ იყო ყოვლადწმიდა ღვთისმშობელიც.

ნიშანდობლივია, რომ ელეონის მთაზე, როდესაც ღვთისმშობელმა თავისი ძისა და ღმერთის ამაღლება იხილა, კაცობრიობის გამოხსნის საქმის აღსრულებით გაიხარა.

ჯვარცმული იესო ქრისტე მჯდომარეა მამის მარჯვნით. იგი ამაღლდა, რათა მოავლინოს სული ნუგეშინისმცემელი. მან თვით უქადაგა მოციქულებს, რომ სულიწმიდის გარდამოსვლას დალოდებოდნენ.

უფლის ამაღლებასთან დაკავშირებით ეკლესიამ დააწესა დღესასწაული, რომელსაც აღდგომიდან მეექვსე კვირის ხუთშაბათს ყოველწლიურად აღასრულებს.

**გიული ლიპარტია**

## ავარია რუსთავში



**რუსთავში, გზირიშვილის ქუჩაზე ავარია მოხდა, რომლის შედეგადაც 50 წლამდე მამაკაცი დაიღუპა. აღნიშნული პირი „Land Rover“-ის მარკის ავტომობილს მართავდა, რა დროსაც შეუძლოდ გახდა, ხეს შეეჯახა და ადგილზე გარდაიცვალა.**

მეზობლების ინფორმაციით, კაცი შვილის გამოსაყვანად სკოლაში მიდიოდა. მისი გარდაცვალების მიზეზი, სავარაუდოდ, გულის შეტევა გახდა.

სანთელი

# ბაადურ წულაძე

**„რამდენი ჩვენგან წასული კაცის<br>ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს,<br>მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც,<br>კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“**



**ძალიან გვიჭირს ამ შესანიშნავ ადამიანზე წარსულში საუბარი!**

**მსახიობი, რეჟისორი, კინოდრამატურგი, პედაგოგი და უბრალოდ ყველასათვის საყვარელი და პატივსაცემი პიროვნება...**

**მისთვის არ არსებობდა დიდი და პატარა როლი ფილმებში... ყველგან განსაკუთრებული თვითმყოფადობითა და ორიგინალობით გამოირჩეოდა.**

**ყველა დროის და ყველა ასაკის მაყურებლისათვის იყო და არის უსაყვარლესი მსახიობი.**

**ქართულ კინემატოგრაფიაში, როგორც რეჟისორმა განსაკუთრებული კვალი დატოვა თავისი ორიგინალური სიკეთით, ხალისით, სევდითა და იუმორით აღსავსე ფილმებში: „ფეოლა“; „ჩვენი ჯერია ბიჭებო“; „გლადიატორი“; „ვალსი მთაწმინდაზე“; „შესვენება“...**

**განსაკუთრებით დიდია ბაადურ წულაძის ღვაწლი ქართველი კინომატოგრაფი ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში. ის ათწლეულების განმავლობაში მსახიობის ოსტატობის კურსს ხელმძღვანელობდა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში.**

**დიდი და აუნაზღაურებელი დანაკარგი განიცადა ქართულმა კულტურამ და ხელოვნებამ ბაადურ წულაძის გარდაცვალებით.**

**მშვიდობით, ჩვენო საყვარელო ბაადურ!**

**სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმი“**

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ზაზა ნიკოლაიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზაზა ნიკოლაიშვილი (პ/ნ 42001002898), ფოთი, აღმაშენებლის 30/3.
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ფოთი, დ. აღმაშენებლის 30, სართული 3, ბინა №9 (საკადასტრო კოდი: 04.01.09.672.01.009).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 2000 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 17 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 31 მაისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP52200918;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 522009
6. **მოვალე:** ზაზა ნიკოლაიშვილი (პ/ნ 42001002898), ფოთი, აღმაშენებლის 30/3.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“,ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP52200918; ლოტის ნომერი: 522009).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 30 მაისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ბადრი ყუფარაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ბადრი ყუფარაძე (პ/ნ 42001012593), ფოთი, წმინდა ნინოს 23;
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ფოთი, წმინდა ნინოს 13 (საკადასტრო კოდი: 04.02.08.142).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 27891.41 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2018 წლის 31 მაისი, 14:00 საათი;
4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
5. **მოვალე:** ნინელი ქებურია (პ/ნ 42001014424), ფოთი, წმინდა ნინოს 13.
6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
